საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 30 ნოემბერი. 2018 წ. №242 (8643) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

არჩევნები ერის გამარჯვებისა და ნაცხროვასთან ბრძოლისა!

სალომე ზურაბიშვილს პირველმა პატრიარქმა მიულოცა და ქვეყანას დამშვიდება უსურვა

საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს შეხვდა. მედიასთან კომენტარი ზურაბიშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, პირველმა გამარჯვება საქართველოს პატრიარქმა მიულოცა და საპატრიარქოში მისვლა სთხოვა. შეხვედრას კი ზურაბიშვილის ინფორმაციით, წმინდა სინოდის წევრებიც ესწრებოდნენ.

„პირველმა ამ დილით პატრიარქმა მომილოცა გამარჯვება და მთხოვა, რომ მივსულიყავი, სადაც სინოდიც იყო შეკრებილი და ეს იყო ჩემთვის პირველი ნამდვილი ნიშანი იმისი, რომ გავხდი საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა ჯერ საბოლოო შედეგები არ არის დაზუსტებული, მაგრამ ყველამ ვიცით, როდესაც 97 პროცენტი დათვლილია, აღარ შეიცვლება ეს შედეგი. დღეს მე პირველად ვიგრძენი თავი საქართველოს პრეზიდენტად. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა პატრიარქთან, რამეთუ ის, რაც არის ჩემი ხედვა მომავლისა, ზუსტად ემთხვევა პატრიარქისას. ჩვენ გვჭირდება ამ ქვეყნის დამშვიდება, საზოგადოების დამშვიდება, ახალი პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცება ამ ქვეყანაში, რომელიც არ იქნება დამყარებული გადატრიალებაზე, არც ერთ მოწოდებაზე კიდევ ახალი ძალადობისკენ. ეს არის ჩემი გეგმა, როგორ დავამშვიდოთ საზოგადოება და როგორ გადავიყვანოთ ცხოვრება ახალ ყაიდაზე,“ — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს პირველ ქალ-პრეზიდენტს, მის აღმატებულებას სალომე ზურაბიშვილს

ძვირფასო ქალბატონო სალომე!

თქვენ ქართველ ხალხთან ერთად მეტად მძიმე ბრძოლა გადაიტანეთ გაიძვერა და ცბიერი ბნელი ძალების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი დიდი წინაპრისა არ იყოს, თქვენმა სიკეთემ სძლია ბოროტებას და დღეს თქვენ პირველი ქართველი დედა-პრეზიდენტი ბრძანდებით ჩვენი საყვარელი საქართველოსი. იმედია, თქვენი ევროპული ცოდნა-განათლება და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება „ოცნების“ მხარდამხარ ახალ მამოძრავებელ ძალად იქცევა და მრავალტანჯულ საქართველოს გადაარჩენს და გაამთლიანებს.

ჩვენი გაზეთი იმთავითვე ყოველთვის თქვენ გვერდით იდგა და კვლავაც თქვენ გვერდით გვიგულეთ!

ულრმესი პატივისცემით და იმედებით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით

სპარტაკ ქობულია,
გურამ გოგიაშვილი,
ალეკო ასლანიშვილი.

29.XI.2018.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ელის

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

საკადრისი მივუზღოთ ნაცებს!

ქართველი ხალხის აქტიურობითა და გონიერებით დაღდასმულ საპრეზიდენტო არჩევნების აბსოლუტურად სამართლიან შედეგებს „არ სცნობს“ ახალი რევოლუციის, ანუ სამოქალაქო ომის გარედან მოთავე ჩვენი სულიერი და ზნეობრივი ხეიბარი, ცნობილი პოლიტიკური არამზადა, ტაკიმსახარა, ქრონიკული ნარკომანი მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაცხროვა, რომლებმაც ვირეშმაკური პროვოკაციებით, „კარუსელების ტრიალით“ და დადგმული უნიჭო სპექტაკლებით არჩევნები ლამის ჩაშალეს და თავიანთ სასარგებლოდ გააყალბეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაცები და მათი მხარდამჭერები ამდენ ხმას ვერა და ვერ მოაგროვებდნენ!

ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს მტერი, მოძალადე ნაცები მადაზე

მოვიდნენ და ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს, კვირას, 2 დეკემბერს კი თავისუფლების მოედანზე „მშვიდობიან“ საპროტესტო აქციას აანონსებენ...

ძვირფასო მკითხველო, ქართველო ხალხო, გონს მოეგეთ, კიდევ ერთხელ გაერთიანდით და პრინციპულად მოითხოვეთ ნაცების მთელი გუნდის გასამართლება და პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლა! ხომ ხედავთ, ნაცები და ე. წ. გაერთიანებული ოპოზიცია ქვეყნის აშენების, მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას კი არა, სუნთქვის უფლებასაც არ გვაძლევენ!

შიგნიდან გატეხილი ციხე ჩვენი ისტორიული ტრაგედიაა, არ შეგეშინდეთ! სამშობლოსთვის, სიკეთისთვის, საკუთარი ხმების დაცვისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

მაკრონის წერილი ზურაბიშვილს: გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემა, ქალბატონო პრეზიდენტო!

გულწრფელად გისურვებთ წარმატებას თქვენი მანდატის შესრულებისას, — ამის შესახებ საქართველოს არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილისადმი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მიერ გამოგზავნილ წერილშია ნათქვამი.

„ქალბატონო პრეზიდენტო, მსურს, მოგილოცოთ საფრანგეთისა და პირადად ჩემი სახელით საქართველოს მეთაურის პოსტზე არჩევა საარჩევნო პროცესის შედეგად, რომელმაც აჩვენა დემოკრატიული ღირებულებებისადმი ქართველი ხალხის ერთგულება. გულწრფელად გისურვებთ წარმატებას თქვენი მანდატის შესრულებისას. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ხაზი გავუსვა ჩვენი ქვეყნებს შორის ურთიერთობების ხარისხსა და ხანგრძლივობას, რასაც თქვენ ასე უწყობდით ხელს როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კავშირები კიდევ უფრო გაძლიერდება. მსურს, დაგარწმუნოთ საფრანგეთის სრულ მზადყოფნაში, გააგრძელოს მოქმედება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ვიმედოვნებთ, შეგხვდებით ჩვენი მომავალი კავშირების გასაძლიერებლად. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემა, ქალბატონო პრეზიდენტო“, — წერს ემანუელ მაკრონი.

პეტრო პოროშენკო: სტრატეგიული პარტნიორები ვართ!

„ვულოცავ სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. **გისურვებთ წარმატებას საქართველოს დემოკრატიული ევროპული განვითარების უზრუნველყოფაში და საზოგადოების კონსოლიდაციაში. დარწმუნებული ვარ ჩვენს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების გაგრძელებაში“,** — წერს უკრაინის პრეზიდენტი.

დალია გრიბაუსკაიტეს გულწრფელი სიტყვები

ლიეტუვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს:

„საქართველოს ვულოცავ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად არჩევას. გისურვებთ წარმატებებს და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ყოფნას“, — წერს გრიბაუსკაიტე.

ესტონეთის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილს გამარჯვებას ულოცავს

როგორც კერსტი კალიულაიდი „ტვიტერში“ წერს, ის ორ ქვეყანას შორის არსებული შესანიშნავი ურთიერთობის კიდევ უფრო გაძლიერებას ელოდება.

„ვულოცავ სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ველოდები ესტონეთსა და საქართველოს შორის საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული შესანიშავი ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერებას“, — წერს კალიულაიდი.

ჩემი პირველი ვიზიტი იქნება ევროპაში!

— **განაცხადა** საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა.

„არავისთვის მოულოდნელი არ იქნება, რომ ჩემი პირველი ვიზიტი იქნება ევროპაში, იქნება ბრიუსელში, ბერლინსა და პარიზში და იმ ბალტიის ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტმა ქალმა მომილოცა პირველმა, გაპრეზიდენტება გუშინ ღამით“, — თქვა სალომე ზურაბიშვილმა საპატრიარქოში, პატრიარქ ილია მეორესთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

ორბელიანის სასახლე ბევრად უფრო ევროპული ყაიდის არის!

ორბელიანის **სასახლე ბევრად უფრო ევროპული ყაიდის არის, ვიდრე — ეს მასშტაბური, რომელიც სხვა რაღაცებს მაგონებს,** — ამის შესახებ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა კითხვაზე, ინაუგურაციის შემდეგ შევა თუ არა პრეზიდენტის ავლაბრის სასახლეში.

„ორბელიანის სასახლე, თქვენ როგორც იცით, ჩემი ოჯახი, ჩემი წინაპრები ბარათაშვილ-ორბელიანები იყვნენ, ამიტომ, ორბელიანის სასახლე ჩემთვის არის სრულიად მისაღები. თუ ჩვენ გვინდა ევროპულობა, ორბელიანის სასახლე ბევრად უფრო ევროპული ყაიდის სასახლე არის, ვიდრე ეს მასშტაბური, რომელიც სხვა რაღაცებს მაგონებს“...

კარასინი ურთიერთობების ნორმალიზების იმედს გამოთქვამს

მოსკოვი **იმედოვნებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებას,** — განუცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა „რია ნოვოსტის“.

„ვიმედოვნებთ, რომ ამ არჩევნების შედეგები საშუალებას მოგვცემს შემდგომში განვაგრძოთ მუშაობა რიგ სფეროებში ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებასთან დაკავშირებით“, — განაცხადა კარასინმა.

იგივე იმედი გამოთქვა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელმა კოსაჩოვმაც.

კრემლი ზურაბიშვილის გამარჯვების შესახებ ინფორმირებულია, თუმცა...

კრემლი **საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების შესახებ ინფორმირებულია, თუმცა რუსეთთან ურთიერთობების განვითარების შესაძლო პერსპექტივაზე თბილისის პოზიციის გარკვევამდე, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.**

ამის შესახებ რუსულ მედიასთან რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ თვალს ვადევნებთ საინფორმაციო შეტყობინებებს, რომლებიც საქართველოდან მოდიოდა, ვითვალისწინებთ ინფორმაციას და ფაქტს კანდიდატის გამარჯვების შესახებ“, — განაცხადა კრემლის წარმომადგენელმა. კითხვაზე, იწვევს თუ არა სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება მოსკოვში ოპტიმიზმს, პესკოვმა უპასუხა: „აქ ჩვენ უმჯობესია, დაველოდოთ პირველ განცხადებებს, რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობების განვითარების შესაძლო პერსპექტივების შეფასებას.

უდავოდ, ორი ერი რჩება ერთმანეთისთვის ძალიან ახლობლად. სახელმწიფოთაშორისი კავშირები კი ცნობილი მოვლენების შემდეგ უკეთესის სურვილს ტოვებს, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა.

◎ ახალი ფოლკლორი

ვაშაძის ბარათი გამარჯვებულ სალომე ზურაბიშვილს

ბოდიში, ჩემო სალომე,
შე მართლა, ქალო სალომევ,
ტყუილუბრალოდ გაომე,
შენმა ქალობამ მაჯობა,
ამხილა ჩემი ქაჯობა...
ვაი, ვაი, რომ ოცნებას
ვეღარ დავადებ ვეტოსა,
ნინოსთან ერთად მეც გავხსნი
სკოლასა საბალეტოსა.
შენთან ბრძოლაში ჩაჭრილმა,
თუ ჩემი ნიჭი გავშალე,
მთელი მსოფლიო გამიცნობს,
ვიმსახიობებ ვაშაზე.
იქნება შემომნატროდე
ზურაბიშვილი ვაშაძეს.
იპრეზიდენტე, ბატონო,
მე კი გავყვები სცენასა,
თუკი ივარგებ, იცოდე,
არ ამოვიღებ ენასა,
მაგრამ რა ვუყო, ვერ ვმალავ
ამ უსაშველო წყენასა.
როდემდე დავრჩე ამ დარდში,
საპრეზიდენტო ურვაში.
რად შემირცხვინე, შე ქალო,
ეს გაწკეპილი ულვაში.
როგორ გავუძლო, არ ვიცი,
ივანიშვილის ლხენასა.
მიშას დარდსა და ვარამსა,
მახათგაყრილთა თმენასა.
ბოკერიას და ბაქრაძის
მდუღარე ცრემლთა დენასა.
ნუთუ, რაც ვთესეთ ნაბოღმი,
უამინდობით მოცდება...
წუთითაც არ გაიფიქროთ,
დაგვასამაროს „ოცნებამ“...
როგორც აქამდე გაცლიდით,
ისე გაგაცლით სიქასა,
„ცრუსთავი“ არ გვიღალატებს,
ვით კვესიტაძე ნიკასა.
თუ ნებით გზას არ დაგვითმობთ,
ხალხი აღდგება, იცოდეთ,
ისეთი დღე დაგადგებათ,
თქვენს ფეხქვეშ მიწა იწვოდეს...
გონს მოდით, ეგ სავარძელი,
თქვენ თვითონ გამოგვიწოდეთ.
ვეღარ აგიტანთ ქვეყანა,
რაც იბოგინეთ, გეყოფათ,
ჩვენ მხარეზეა გაერო,
ამერიკა და ევროპა!..

* * *

დაბოლოს, გეტყვი მართალსა,
ნურვისგან ითხოვ ქებასა.
ცხრაასი კაცი მხარს გვიჭერს
რა სძლევს ცხრაასის ნებასა,
ეგ შენი პრეზიდენტობა
არ ნიშნავს გამარჯვებასა,
გამარჯვებულნი ჩვენა ვართ,
ხვალინდელი დღე ჩვენია,
ასე რომ, ქალო სალომევ,
ტყუილად მოგილხენია!

თვალცრემლიანი
გრიგოლ ვაშაძე,

ჩაიწერა
ნუგზარ წიკლაურმა

„რუჩკებს“ არ ენდოთ, ბიჭებო!

შედეგი, რომელიც გამარჯვებაზე მეტია!

გიხარიოდენ! უსაშველოდ გაჭიანურებული საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც იქნა, დასრულდა. ის საკმაოდ მშვიდად დაიწყო და წარმოაჩინა, რომ საქართველოში იყო 46 კაცი(!), რომელთაც თურმე ქვეყნის პრეზიდენტობისთვის საჭირო უნარი და შესაძლებლობაც ჰქონდა და გულიც ერჩოდა. მათ შორის იყო დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი.

სიაში მის ყოფნას სულაც არ გამოუწვევია რაიმე აჟიოტაჟი და არც შემდეგ, შემცირებული 25 კაცის პირობებში. და არც გამოიწვევდა (ბოლოს და ბოლოს, ერთ დროს პრეზიდენტობის კანდიდატები იყვნენ როინ ლიპარტელიანი და ქართლოს ღარიბაშვილი), რომ არა ერთი მოვლენა: ამ დამოუკიდებელ კანდიდატს მხარი დაუჭირა სახელისუფლო „ქართულმა ოცნებამ“, რომელმაც რატომღაც საყოველთაოდ გასაოცებლად, საკუთარი კანდიდატი არ წამოაყენა და ჯილად ეს ქალბატონი აირჩია. და დაიწყო...

დიდ ამერიკელ მწერალს მარკ ტვენს აქვს პატარა მოთხრობა „რატომ მოვხსენი ჩემი კანდიდატურა არჩევნებიდან?“ (სათაურის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ). გახსოვთ რეებს უწოდებდნენ ან უწყობდნენ ამ კანდიდატს მოწინააღმდეგენი? ხან საგანგებოდ ჩამოძონძილი ბავშვების გროვას შეუსევდნენ „მამა-მამას“ ძახილით, ხან კიდევ – უარესს. იმდენი ქნეს, გამოგონილი სიცრუეებით კაცს საქვეყნოდ გაუტეხეს სახელი და იძულებული გახადეს, გაბეზრებულს თავისი კანდიდატურა მოეხსნა.

მიუხედავად იმისა, რომ სალომეს ბევრად მეტი სიმყრალე და სიბინძურე დაატეხეს თავს: თავისი შვილის ნათლიას გაჰყვა ცოლადო, ატოცში მისულს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ვინმე აჯილღა თანამშრომელმა უკადრებელი აკადრა, რისთვის მოხვედი შე ჩათლაშკაო... ყველაფერი ეს და უარესი კიდევ სხვა, უბრალოდ სცილდება ადამიანური ურთიერთობის ზღვარს.

მაგრამ სალომემ გაუძლო, გაუძლო არა მარტო „რუსთავი-2“-ის ბინძურ ნიკაგვარამიობასა და მთელი ნაცმოძრაობის უკეთურობას, არამედ თვით სელაპა კონკურენტის „მოღალატე-მოღალატის“ ძახილსა და სხვა არაკაცობას.

გაუძლო და საარჩევნო კამპანია, რომლის მსგავსიც დაძაბულობით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, ბოლომდე მიიყვანა.

და აი, როგორც იქნა, დადგა 28 ნოემბერი, მე-2 ტურის დღე.

თანაგრძნობის, მხარდაჭერის ნიშნად მზემაც გამოანათა.

რატომღაც მირზა გელოვანის სიტყვები მახსენდება: „გუშინ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს“. თუმცა რატომ „რატომღაც“? სწორედაც ბოროტების, სიცრუის, მტრობის ქარცეცხლს ებრძოდა სალომე ამ დღეებში.

დაიწყო მეორე ტური და დაიწყო ფოკუსები.

კორესპონდენტი კახეთის ერთ-ერთი უბნიდან გვარწმუნებდა: „ამომრჩეველი მოჰყავთ მანქანებით ან ძალითო!“

ოღონდ ამ ცნობიდან ვერ მიხვდებოდი კონკრეტულად როგორ მიჰყავდათ ხალხი ძალით! ორი კაცი ხელებში ჩააფრინდებოდა და მესამე ზურგში აწვებოდა, თუ მხრებს უკოჭავდნენ და ცხენს გამოაბამდნენ ძუაზე?

თელავში ოპოზიციაზე ძალადობდნენო... ოღონდ, არ უთქვამთ, ცხვირ-პირს უნაყავდნენ თუ კევრში აბამდნენ, ან შვილებს უყიდდნენ სტამბოლში?

მერე უცებ, გამაოგნებელი: გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში სროლებიაო. თანაც ეს იმ დროს ხდებოდა, როცა იქ დამკვირვებლად გაჭრილი გიორგი სააკაშვილი, ყოფილი პრეზიდენტის ძმა იმყოფებოდა.

ჯერ თქვეს, ამის ვიდეოკადრები არსებობსო, მერე აღმოჩნდა, რომ ეს კადრები თურმე სულ ის იყო, რომ გიორგი სააკაშვილმა გვამცნო, საარჩევნო უბნიდან გამოვდიოდით მანქანით, როცა გასროლა გავიგეთო. ვინ გაისროლა, რა გაისროლა, რამდენჯერ გაისროლა და ვის ესროლა, საერთოდ მართლა გაისროლა თუ არა, რა თქმა უნდა, არავინ არაფერი იცის. სამაგიეროდ „რუსთავი-2“-ის წამყვანმა დაგვზაფრა, ოპოზიციის წარმომადგენლები საფრთხის ქვეშ არიანო.

ბევრი ცნობა მოგვასმენინეს „ოცნების“ მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვისა და ფულის დარიგების შესახებ. ოღონდ, დიდი დაპირების მიუხედავად, ეს არაფრით დაუმტკიცებიათ, რაც ბუნებრივად ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ასეთი დარღვევები გამოგონილი იყო. ეს დაკვირვება განამტკიცა ატენში მომხდარმა სწორედ რომ კრიმინალურმა ამბავმა: ვინმე ვასილისა ჯაბახიძე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, ყიჟინით, თქვე ჩათლახებოო, საარჩევნო უბანზე შეიჭრა და კომისიის თავმჯდომარეს ხელიდან გამოგლიჯა ამომრჩეველთა სია, გაიტაცა და იმ სიაში გვარების გასწვრივ მიაწერა ციფრები 30-40-50, ვითომ მათთვის გასამრჯელოდ გაცემული თანხები. მეკობრე ვასილისა უბნიდან გააძევეს და კარგებიც მიაყოლეს.

ვიდეოცნობებში ხშირი იყო ამა თუ იმ უბანთან მდგომ მსუბუქ მანქანებში მსხდომებზე ეგზალტირებული ქალბატონების თავდასხმები: ვინ ხართ, აქ რა გინდათ, ხელში რა გიჭირავთო.

მოხდა დამკვირვებელთა შორის დაპირისპირებაც.

ზუგდიდში ერთ-ერთ უბანზე დაიკარგა ამომრჩეველთა სამაგიდო სია, ოღონდ გვიან განმარტეს, 15-ფურცლიანი სიიდან ერთი ფურცელი დაიკარგაო.

და ა.შ. და ა.შ.

და ეს ყველაფერი: კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული პროვოკაციები, ძირითადად ოპოზიციის დამკვირვებლების მოწოდებული იყო. აქ ჩემი დაკვირვებაც მინდა მკითხველს გავუზიარო. ასე მგონია, ნაციონალური მოძრაობა უკვე სადღაც შუადღისთვის მიხვდა, რომ არჩევნები წაგებული იყო და სწორედ იმ დროიდან წამოვიდა მისი „მხილებითი“ ხასიათის ნიაღვარი. ამას დაემატა „მტკიცება“, რაც კი მსოფლიოში გაყალბება არსებობს, „ქართულმა ოცნებამ“ დღეს ყველა მათგანი გამოიყენაო.

გაყალბება-დაწამებაში არა, მაგრამ იმაში კი მართალი იყო ყურებჩამოყრილი ზაალ უდუმაშვილი: „ოცნებამ“ მართლაც მოახერხა მთელი თავისი რეზერვის ამოქმედება, მთელი აქტივის ერთ მუშტად შეკვრა მეორე ტურის მოსაგებად, იმისთვის, რომ „გაერთიანებულ ოპოზიციას“ არ გაეყალბებინა არჩევნები, ოპოზიციას თვალნათლივ დაანახვა თუ რა შეუძლია, რომ მან მოახერხა პირველი ტურისგან განსხვავებით დამატებით დაახლოებით 300 ათასი ამომრჩევლის გამოყვანა.

ამრიგად, დამთავრდა ფაჩიკოს გარმონივით გაწელილი, დამქანცავი, კბილის ტკივილივით ტვინის გამბურღავი საპრეზიდენტო არჩევნები. დამაჯერებლად გაიმარჯვა სალომე ზურაბიშვილმა. თუ ეს გამარჯვება პირველ ტურში მინიმალური იყო – მხოლოდ ერთი პროცენტი, დამაჯერებელი, ბრწყინვალე აღმოჩნდა მეორე ტურში – 19 პროცენტი (59,44 : 40,46) ეს გამარჯვება გამოაჩინა ეგზიტპოლმა არჩევნების დამთავრების უმალ!

ამით კიდევ ერთხელ ხმამაღლა ითქვა: არა მოძალადე რეჟიმს, არა – ტერორს, არა – ძალადობას, არა – საპაკაშვილს.

დამარცხებულმა გრიგოლ ვაშაძემ, რომელსაც ისეთი სახე ჰქონდა, როგორც სახედარს, რომელსაც ცხვირში პიტნა ჩატენეს, ვითომ ნირი არ წაიხდინა. ამისთანა სირცხვილი, რაც ამ გამარჯვებით „ოცნებამ“ მოიპოვა, იშვიათიაო. ჩვენ არ ვიშლებით, ადგილზე ვრჩებითო!

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხებულმა სააკაშვილმა რუსთაველის პროსპექტზე გამარჯვება რომ იზეიმა.

არ ვიცი, ეს ნაცარქექია გრიშა აქ რომ რჩება, რამის მართლა გაკეთებას აპირებს, თუ თავს იმშვიდებს, მაგრამ ერთი კია, იგი თავისი ასეთი „გმირული“ პოზიციით კოჭს უგორებს იდეურ მოძღვარს ნირწამხდარ, სახემოქცეულ სააკაშვილს, რომელმაც... არჩევნების შედეგები... არალეგიტიმურად ცნო და ხალხს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა.

ერთი სიტყვით, არ გათეთრდების ყორანი, არ გასწორდების კუდი ძაღლისა, მგელი არ მოიშლის მგლობასა... ახლა მთავარია, რა პოზიციას დაიკავებს ერთიანი ოპოზიცია – „ნაციონალური მოძრაობა“, გაიზიარებს ბელადის მოწოდებას თუ უარს იტყვის მასზე და სააკაშვილს საბოლოოდ მოისვრის ისტორიის სანაგვეზე (აქ ისიც საფიქრებელია, რომ თუ ეს არ გააკეთა, თვითონ იქნება მოსროლილი იმ სანაგვეზე – ბოლოს და ბოლოს!)

ძალიან მნიშვნელოვანია სალომე ზურაბიშვილის წუხანდელი განცხადებიდან ერთი ფრაზა, რაც თვალნათლივ წარმოაჩენს თუ როგორი პრეზიდენტი ეყოლება საქართველოს ხვალ: „ჩემთვის მნიშვნელოვანია დიალოგი მათთან, ვინც დღეს ხმა არ მომცა!“

„ოცნებამ“ კარგად დაინახა, რა არის გასაკეთებელი და არ გვტოვებს იმედი, რომ დროულად გამოასწორებს შეცდომებს, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, ცოტა როდი აქვს.

* * *

ამ გამარჯვებას კიდევ ერთი ხელშესახები შედეგიც შეიძლება მოჰყოლოდა: „რუსთავი-2“-ელი ნიკა გვარამია, რომელმაც აშკარად მოაბეზრა თავი საზოგადოებას თავისი უსაზიზღრესი ინსინუაციებით, ერთხელ და სამუდამოდ მოცილებოდა ეკრანს. ამ ვარაუდს ის მათქმევინებს, რომ ცოტა ხნის წინათ ამ კაცმა თავისი ტელევიზიის ეკრანიდან განაცხადა, არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად საქართველოდან წავალო. მაგრამ ვითომ მართლა წავა? ისეთი ქვემძრომია, შეიძლება რამე მოიგონოს და თავი დაიძვრინოს დანაპირებისგან.

სხვათა შორის, ნიკა გვარამიას და მისი მეწყვილე ეკა კვესიტაძეს წვლილი აქვთ შეტანილი არჩევნებში „ოცნების“ ამ გამარჯვებაში.

როგორ?

როგორ და ნიკა და მისი ტელევიზია ისე ბინძურად, ისე საზიზღრად ირჯებოდნენ „ოცნების“ და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მიმართ, რომ საზოგადოებაში გამოიწვიეს ბუნებრივი პროტესტი ოპოზიციის მიმართ. ისე რომ, უნდა დავუფასოთ!

ამრიგად, არჩევნები ჩატარდა, არჩევნები შედგა. საქართველოს 1975 ათასმა მოქალაქემ თავისი არჩევანი გააკეთა: საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს – კავკასიაში პირველი პრეზიდენტი ქალი სალომე ზურაბიშვილი!

ალეკო ასლანიშვილი

მოლოცვა ბათუმიდან სალომე ზურაბიშვილს

„მზიანი ღამის სავანე“ თქვენს სურათს ელის!

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა ტკბილსახსოვარნო“ – ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს უკვდავი სიტყვები ამშვენებს მწვანე კონცხზე, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის „სავანე მზიანი ღამის“ ტერიტორიაზე მდებარე მუზეუმ „მზიანი ღამის“ ერთ-ერთ განყოფილებას, სადაც საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე გამოჩენილი მანდილოსნები არიან წარმოდგენილი, მათ შორის არის უწმინდესისა და უნეტარესის მიერ შესრულებული წმინდა თამარ მეფის პორტრეტი, დიდი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკების „წმინდა ქეთევან წამებულის“ ესკიზი, ცნობილი ბათუმელი მოქანდაკის დავით ბოლქვაძის „წმინდა ნინო“ და სხვათა ნამუშევრები. ამიერიდან შეგვიძლია, უამრავ უცხოელ სტუმარს სიამაყის გრძნობით კიდევ ერთი ღირსეული ქართველი ქალბატონის, დედის, საქართველოს არსებობის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალის, ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილის სალომე ზურაბიშვილის სურათი შევთავაზოთ.

გულითადად ვულოცავთ მთლიანად საქართველოს ამ ბრწყინვალე არჩევნის გაკეთებას, ხოლო ქალბატონ სალომეს მივმართავთ უმორჩილესი თხოვნით, გამოგვიგზავნოს თავისივე გემოვნებით შერჩეული ფოტოსურათი ავტოგრაფით.

წინასწარ ვუხდით მადლობას და ვუსურვებთ ღვთის შემწეობას გამთლიანებული საქართველოს და მის მკვიდრთა საკეთილდღეოდ.

ავთანდილ ბერიძე – ჟურნალ „მზიანი ღამის“ რედაქტორი; **რამაზ სურმანიძე** – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, პროფესორი; **მიხეილ ძავთარია** – პროფესორი; **ეთერ მაჭუტაძე** – აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი; **თამარ სირაძე** – ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი; **ნუგზარ ოძროპირიძე** – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; **მირიან პაპუნიძე** – ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი; **გურამ ფუტკარაძე** – აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; **დავით ბოლქვაძე** – მოქანდაკე; **ლიანა შარაშიძე** – დამსახურებული პედაგოგი; **მაკა ძოწენიძე** – ჟურნალ „მზიანი ღამის“ პასუხისმგებელი მდივანი; **ია შალამბერიძე** – ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელი; **მზია შავაძე** – ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელი; **ოთარ გაგუა** – მუზეუმ „მზიანი ღამის“ მცველი.

ადმინისტრაციული რესურსები, რომელმაც წაშალა ხაზი სახელმწიფოსა და პარტიას შორის, მიკერძოება საჯარო მაუწყებლისგან, ვერ უზრუნველყოფდა ობიექტურობას!

ეუთოს დამკვირვებლებმა არჩევნების მეორე ტური შეაფასეს. მოკლევადიანი მისიის სპეციალურმა კოორდინატორმა კრისტიან ვიგენინმ წინასწარი მონიტორინგის შედეგები წარადგინა. დამკვირვებლების საერთო შეფასებით, არჩევნების მეორე ტური იყო კონკურენტული და კანდიდატებს თავისუფალად შეეძლოთ კამპანიის ჩატარება, მაგრამ ისინი უარყოფითი ხასიათის საინფორმაციო კამპანიასაც უსვამენ ხაზს.

„ეუთომ გამოაგზავნა დაახლოებით 200 დამკვირვებელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მეორე ტური იყო კონკურენტული და კანდიდატებს თავისუფალად შეეძლოთ კამპანიის ჩატარება, მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ უარყოფითი ხასიათი საინფორმაციო კამპანიისა, რომელიც ძირს უთხრიდა პროცესს. რეგულაციების ნაკლებობა გარკვეულ სამართლებრივ ბუნდოვანებას ქმნიდა. მკაცრი რიტორიკა, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, რომელმაც წაშალა ხაზი სახელმწიფოსა და პარტიას შორის, მძაფრი პოლარიზაცია, მიკერძოება საჯარო მაუწყებლისგან ვერ უზრუნველყოფდა ობიექტურობას“, — განაცხადა ვიგენინმ.

მისივე თქმით, არჩევნების დღეს ამომრჩევლის აქტიურობა იყო მაღალი, თუმცა ამან გააძლიერა ეჭვები გარკვეული დაშინების შესახებ.

„არჩევნების დღეს ამომრჩევლებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში და დადებითად შეფასდა ეს პროცესი, თუმცა ამან გააძლიერა ეჭვები დაშინების შესახებ. არჩევნები უნიკალური იყო, არა მხოლოდ ორრაუნდიანობის გამო, არამედ ეს ბოლოჯერ ხდება, რომ ქართველი ხალხი ირჩევს სახელმწიფო მეთაურს პირდაპირი და ფარული კენჭისყრის მეშვეობით. ყველა კითხვა დაკავშირებული წინასწარ შეფასებასთან უნდა გადაიჭრას ხელისუფლების მიერ დაუყოვნებლივ. ეს ეხება დაფინანსების წესებს, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს, რომ გაუმჯობესდეს საარჩევნო პროცესი, გაძლიერდეს დემოკრატია ამ ქვეყანაში“, — განაცხადა ვიგენინმა.

არ ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები დააზარალებს საქართველოს იმიჯს!

რაც შეეხება კითხვას, როგორ დაინახავს საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება, ეს პოლიტიკური შეფასებაა, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები დააზარალებს საქართველოს იმიჯს, — ამის შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა ანდრე ჰუნკომ განაცხადა. რაც შეეხება არჩევნების ლეგიტიმურობას, მისი თქმით, ეს არის სასამართლოს პრეროგატივა.

„არსებობს ადამიანის უფლებათა სასამართლო სტრასბურგში, რომელსაც შეგიძლიათ, მიმართოთ, თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლება იყო დარღვეული. ჩემი პირადი შეხედულებით, შესაძლოა, ამან იმოქმედა რეზულტატზე, მაგრამ არა საბოლოო შედეგზე. რაც შეეხება კითხვას, როგორ დაინახავს საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება, ეს პოლიტიკური შეფასებაა, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები დააზარალებს საქართველოს იმიჯს. თუ შეადარებთ წინა არჩევნებს და მეორე ტურს, შერეული სურათი გამოვა, ზოგიერთ ასპექტში პროგრესია და ზოგიერთში რეგრესი“, — განაცხადა ანდრეი ჰუნკომ.

დათვლილია ხმების 100%: ზურაბიშვილი - 59,52%; ვაშაძე - 40,48%;

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, დათვლილია ხმების 100%.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს ხმა ამომრჩეველთა 59,52%-მა (1 147 627 ხმა) მისცა, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს— 40, 48 %-მა (780 633 ხმა).

28 ნოემბერს საქართველოს მოსახლეობამ 5-ის ნაცვლად 6 წლით, პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩია ქვეყნის პრეზიდენტი. პირველი ტური 28 ოქტომბერს გაიმართა. ცესკოს მონაცემების თანახმად, „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ხმების 38.64% მიიღო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ — 37,74%.

მთაწმინდის ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნები გაიმართება

თბილისში, მთაწმინდის ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნები გაიმართება. მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი მე-9 მოწვევის პარლამენტში სალომე ზურაბიშვილია. სალომე ზურაბიშვილი მთაწმინდის მაჟორიტარი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად გახდა. მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატი არ წარადგინა და ასპარეზი სალომე ზურაბიშვილს დაუთმო, რომელიც პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით შევიდა.

სალომე ზურაბიშვილი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. ცესკოს წინასწარი მონაცემებით, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს მე-5 პრეზიდენტია. სალომე ზურაბიშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შეუწყდება. მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები გაზაფხულზე დაინიშნება. ცესკომ კენჭისყრის ზუსტი თარიღი არჩევნებამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე უნდა გამოაცხადოს.

საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 307 საჩივარი შევიდა

— განაცხადა ცესკოს პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით ამ დროისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 307 საჩივარია შესული. **„საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრების უმეტესობა, დღის განმავლობაში დაიწერა საარჩევნო უბნებზევე. საჩივრების უმეტესი ნაწილი პროცედურულ ხარვეზებს ეხება და ძირითადი მოთხოვნა კომისიის წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებაა. თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიებში სხვა მოთხოვნის შემცველი საჩივრებიც შევიდა. არის ერთეული საჩივრები, რომლებიც უკავშირდება უბნის შედეგებს. ყველა საჩივარზე საარჩევნო კომისიებს ექნებათ შესაბამისი რეაგირება“,** — აღნიშნა მიქელაძემ. ანა მიქელაძემ საზოგადოებას საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის შედეგები 3 702 საარჩევნო უბნის მიხედვით გააცნო.

თბილისის ათივე რაიონში ზურაბიშვილმა გაიმარჯვა

ცესკოს წინასწარი შედეგების მიხედვით, თბილისის 10-ვე საარჩევნო ოლქში არჩევნები „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მოიგო.



თბილისის ოლქებში პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ მოპოვებული ხმები ასე გადანაწილდა:

ვაკე: გრიგოლ ვაშაძე — 33,95 %, სალომე ზურაბიშვილი 66,05 %;

საბურთალო: გრიგოლ ვაშაძე — 34,39 %, სალომე ზურაბიშვილი — 65,61 %;

მთაწმინდა: გრიგოლ ვაშაძე — 35, 66 %, სალომე ზურაბიშვილი — 64,34 %;

კრწანისი: გრიგოლ ვაშაძე — 40,43 %, სალომე ზურაბიშვილი — 59,57 %;

ისანი: გრიგოლ ვაშაძე — 43,06 %, სალომე ზურაბიშვილი — 56,94 %;

სამგორი: გრიგოლ ვაშაძე — 43,59 %, სალომე ზურაბიშვილი — 56,41 %;

ჩუღურეთი: გრიგოლ ვაშაძე — 36,63 %, სალომე ზურაბიშვილი — 63,37 %.

დიდუბე: გრიგოლ ვაშაძე — 35,02 %, სალომე ზურაბიშვილი — 64,98 %;

ნაძალადევი: გრიგოლ ვაშაძე — 38,26 %, სალომე ზურაბიშვილი — 61,74 %;

გლდანი: გრიგოლ ვაშაძე — 43,26 %, სალომე ზურაბიშვილი 56,74 %.

პრეზიდენტის ინაუგურაცია 16 დეკემბერს გაიმართება

საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი ფიცს დებს არჩევიდან მესამე კვირა დღეს. იქიდან გამომდინარე, რომ მეორე ტური შუა კვირაში, 28 ნოემბერს გაიმართა, პირველივე კვირა, 2 დეკემბერი ათვლის წერტილი იქნება, კონსტიტუციით განსაზღვრული მესამე კვირა კი 16 დეკემბერს მოუწევს.

<u>თემურ ბასილია:</u> ნუ „გადააგდებთ“ მათ, ვინც ერთხელ უკვე „გადააგდეთ“, საპარლამენტო არჩევნებიც მალე მოვა!

საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია „ფეისბუქში“ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს ეხმიანება და სალომე ზურაბიშვილს გამარჯვებას ულოცავს.

„ვულოცავ საქართველოს ისტორიაში პირველად ქალბატონის არჩევას პრეზიდენტის პოსტზე. წარმატებებს ვუსურვებ ქალბატონ სალომეს ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე!

— საინტერესოა, ვნახოთ, რამ განაპირობა ეს შედეგი: საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილმა 1,2 მილიონი ხმა მიიღო რაც დაახლოებით 530 ათასით მეტია პირველ ტურში მიღებულ ხმებზე. ამ 530 ათასი ამომრჩევლიდან, დაახლოებით 170 ათასი, გახლავთ ის ხალხი, ვინც მონაწილეობდა პირველ ტურში, ოღონდ მათ არც ნაცებისთვის და არც „ოცნებისთვის“ დაუჭერიათ მხარი (სხვათა შორის, გრიგოლ ვაშაძემაც დაახლოებით 170 ათასით მეტი ხმა მიიღო მეორე ტურში). რეალურად, დაახლოებით 355 ათასი ახალი ამომრჩეველი მივიდა მეორე ტურში, რომელმაც სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა მხარი.

პრაქტიკულად, ამ ახლად მისულმა 355 ათასმა ამომრჩეველმა გადაწყვიტა არჩევნების ბედი. ეს, ამ ხალხმა მოიგო გუშინწინდელი საპრეზიდენტო არჩევნები. სწორედ, ეს ხალხი — დაახლოებით 530 ათასი ამომრჩეველი (355 ათასი ახლად მისული +170 ათასი პირველ ტურში მისული, ვინც არც ნაცებს და არც „ოცნებას“ არ დაუჭირა მხარი) მოიგებს მომდევნო საპარლამენტო არჩევნებსაც. ამიტომაც, გაუფრთხილდით ამ ხალხს და შეასრულეთ ის, რაც დაჰპირდით; ნუ „გადააგდებთ“ მათ, ვინც ერთხელ უკვე „გადაგდეთ“ 2012 წლის შემდეგ. გარწმუნებთ, ეს ორი წელი უცებ გაფრინდება და საპარლამენტო არჩევნების დროც მალე მოვა; იქ არ იქნება მეორე ტური და მხოლოდ მაჟორიტარების იმედით ძნელი იქნება სასურველი შედეგის მიღება ...“, — წერს ბასილია.

ᲐᲰᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲰᲚᲐᲓᲒᲐᲡᲬᲜᲘᲚᲘ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ

ᲐᲰᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ „ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ 2018“-ᲖᲔᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲜᲐ�გᲔᲑᲝᲑᲐ „ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ“ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚ ᲡᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ.

გამარჯვებული პროექტი 16 დეკემბერს არქიტექტორთა მე-13 საერთაშორისო ფესტივალზე გამოვლინდება. ახალქალაქის იუსტიციის სახლის პროექტი არქიტექტორ მიხეილ გოირგობიანს ეკუთვნის. შენობა 2018 წლის 18 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა და ის რიგით მეოცე იუსტიციის სახლია. უშუალოდ მომსახურების სივრცეების გარდა, აქ განთავსებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფისები, ფუნქციონირებს ქორწინების სარიტუალო დარბაზიც, რომელიც ცალკე ფლიგელშია განთავსებული. ახალქალაქის იუსტიციის სახლის გახსნამდე ახალქალაქს ქორწინების სახლი არასდროს ჰქონია.

არქიტექტორთა საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო საზოგადოებრივი ნაგებობის ნომინაციის საუკეთესო სამეულში მოხვედრა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ იუსტიციის სახლების ფილიალები არა მხოლოდ განსაკუთრებული ფუნქციის მქონე, არამედ არქიტექტურული თვალსაზრისითაც გამორჩეული ნაგებობებია.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ „ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „50 ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ �გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ-ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ №60-ᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ „ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲣᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ-ᲜᲐ�გᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲐᲣᲪᲘᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ 35 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘᲐ. ᲐᲣᲪᲘᲪᲘᲝᲜᲘ ᲙᲘ 2019 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲩᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ.

აუქციონის პირობების მიხედვით საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე მინიმუმ 200 ნომრის მქონე სასტუმრო ან მრავალფუნქციური კომპლექსი (რაც უნდა მოიცავდეს არანაკლებ 100 ნომრის მქონე სასტუმროს და კომერციული დანიშნულების ფართ(ებ)ს, ასევე, შეიძლება მოიცავდეს კვების ობიექტ(ებ)ს) უნდა განთავსდეს. ამ პუნქტით გათვალისწინებული სასტუმრო/მრავალფუნქციური კომპლექსი არ უნდა მოიცავდეს აპარტოტელს და საცხოვრებელ ფართებს. პირობების მიხედვითვე, ინვესტორმა პროექტის განხორციელებაში მინიმუმ 100 მლნ ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს.

შეგახსენებთ, რომ პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ტურიზმის განვითარებას და ინვესტორებს მისცეს შესაძლებლობა ტურისტულად აქტიურ ზონებში, უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოაწყონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო-კომპლექსები.



ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ. �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲛᲐᲕᲠᲘᲙᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲞᲝᲠᲢᲚᲣᲘᲡᲨᲘ ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔ-13 ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ.

2014 წელს, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, ქართულ ჭიდაობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. 2016 წელს, კი პრემიერ-მინისტრის დადგენილებით, ქართულ ჭიდაობას ეროვნული კატეგორია განესაზღვრა. შემდგომ, აღნიშნული საკითხი, გადაიგზავნა იუნესკოში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის მიზნით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცნობით, იუნესკოს მე-13 სესიას ქართული დელეგაციაც დაესწრო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, ამავე სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი მანანა ვარძელაშვილი, საქართველოში იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი ქეთევან კანდელაკი და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი.

ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ �გᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ მინისტრის დავით სერგეენკოს ინფორმაციით, წლის ბოლომდე უფასო მედიკამენტების პროგრამის გაფართოება იგეგმება.

„სექტემბერში უკვე მოხდა გაფართოება, როცა სოციალურად დაუცველების ჩამონათვალს დაემატა პენსიონერები და შშმ პირები. ახლა წლის ბოლომდე მოხდება მედიკამენტების ჩამონათვალის გაფართოება. მოსარგებლეთა ჯგუფები სავარაუდოდ იგივე დარჩება, თუმცა ძირითადი მიმართულება იქნება გაფართოება 23-დან 30-მდე და საბოლოო ჯამში 60 დასახელების მედიკამენტზე“, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ SWATCH-ᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲒᲐᲥᲣᲠᲓᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, გმირთა მოედანზე მდებარე საათების მაღაზია SWATCH-ი გაქურდეს. წინასწარი ინფორმაციით, წაღებულია რამდენიმე ათასი ლარის ღირებულების საათები და აქსესუარებია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით მომხდარ ფაქტზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო.

◎ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲗᲣ?..

ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲘᲐᲤᲔᲑᲔᲜ!!!

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲘᲠᲟᲔᲑᲖᲔ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲔᲪᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲐᲤᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ ᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ. 1 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲘᲗᲣᲛᲝ ᲤᲐᲡᲘ 30%-ᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲪᲐᲚᲝ ᲥᲕᲔᲚᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲫᲠᲐᲝᲑᲐᲐ.

„ᲑᲠᲔᲜᲓᲘᲡ“ მარკის ნავთობის ფასი ბარელზე უკვე 59 აშშ დოლარამდე დაეცა, რაც წლის განმავლობაში მინიმალური მაჩვენებელია. ფასის ვარდნის პიკის დროს ღირებულებამ 1 ბარელზე 58 აშშ დოლარი შეადგინა, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 4%-ითაა შემცირებული. ბოლოს ნავთობი ასეთი იაფი 2017 წლის ნოემბერში იყო.

შავი ოქროს კვოტირებები უკვე მეექვსე კვირაა, რაც პერმანენტულად მცირდება. ამ ეტაპზე ნავთობის ფასის დაცემა საუდის არაბეთის განცხადების ფონზე მიმდინარეობს. ამ ქვეყანაში ნავთობის მოპოვების მოცულობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და დღიური 10,7 მილიონი ბარელი შეადგინა.

მნიშვნელოვანია, რომ სექტემბერში საუდის არაბეთმა 3%-ით გაზარდა ნავთობის ექსპორტი წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო მოპოვება — 0,9%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნავთობის ექსპორტი გაიზარდა 7,433 მლნ ბარელამდე დღე-ღამეში აგვისტოს თვის 7,214 მლნ ბარელთან შედარებით.

ნავთობის ფასებმა ვარდნა მას მერე დაიწყო, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ზოგიერთ ქვეყანას მოუწოდა, გააგრძელონ ნავთობის შესყიდვა ირანისგან მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მის წინააღმდეგ ამერიკამ ახალი სანქციები აამოქმედა. ფასებზე აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს აშშ-სა და ჩინეთს შორის დაწყებული სავაჭრო ომი.

პარალელურად, მნიშვნელოვნად მატულობს აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგი. მართალია, სექტემბერში კლება იყო, თუმცა წლიური მარაგი მნიშვნელოვნად გაზრდილია. ქვეყანას აქვს ამბიცია, 2019 წელს ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებს შორის ლიდერი გახდეს.

გარდა ამისა, ნავთობის ფასის შემცირებისკენ თავად აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოუწოდა.

რა ვითარებაა ამ დროს საქართველოში? შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბაზარზე შავი ოქროს ტოტალური გაიაფების ფონზე ჩვენთან საწვავი პრაქტიკულად არ გაიაფებულა. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ავტოგასამართ სადგურზე 3-5-თეთრიან კლებას, საქართველოში ბენზინი და დიზელი ძველებური ფასით იყიდება და მოგების მარჟამ 50 თეთრსაც მიაღწია.

მომხმარებელთა დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელ ბექა კემულარიას შეფასებით, საქართველოში საწვავი ახლა უკვე 20%-იანი ფასნამატით იყიდება,. იმპორტიორები კი შექმნილი მდგომარეობით ბოროტად სარგებლობენ.

„კომპანიებში თავს არ ზოგავენ, რომ ნავთობპროდუქტები არ გააიაფონ. ცალსახაა, რომ მანიპულირებას ახდენენ და რეალურად ვიღებთ მაღალ ფასს, რაც მუდმივად ხდება. ფასების პროგნოზი ქართული ბაზრისათვის რთული არ არის. ჯანსაღი საბაზრო პრინციპები აქ ნაკლებად მოქმედებს. არ აიაფებენ და მორჩა!

მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც საწვავი 20%-იანი ფასნამატით იყიდებოდეს. უკვე 45-თეთრიანი სუფთა მოგება აქვთ ადგილობრივ კომპანიებს და თუნდაც ამის გამო არის რესურსი, რომ საწვავის ფასი მნიშვნელოვნად შეამცირონ მიმდინარე პერიოდში მაინც, როცა რეალურად არის ამის საფუძველი“, — აცხადებს კემულარია.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲛᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲖᲔ



ᲜᲐᲢᲝ ᲡᲐᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ოჯახმა 600 კვადრატული მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით 20 წლის წინათ მიწის რეფორმისას მიიღო, რამდენიმე წლის წინათ ამ მიწაზე სახლის აშენება გადაწყვიტა, თუმცა ნებართვა ვერ მოიპოვა.

„წლების განმავლობაში საერთო სახლში, ვიწრო დასახლებაში ვცხოვრობთ, ეს ნაკვეთი ჩვენთვის ნორმალური საცხოვრებლის ქონის ერთადერთი საშუალებაა“, — ამბობს საგინაშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ და განაგრძობს: — „სახლის აშენება კი არა, უბრალოდ, ღობის გავლებისა და ხეების დარგვის უფლება არ გვაქვს“.

მცხეთელებისთვის ამ შეზღუდვების მიზეზი მშენებლობაზე დაწესებული მკაცრი მორატორიუმია, რომელიც, მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, ხელისუფლებამ ვერა და ვერ შეამსუბუქა.

* * *

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲛ მცხეთა და ქალაქში მდებარე ისტორიული მონუმენტები — სვეტიცხოვლის ტაძარი, ჯვრისა და სამთავროს მონასტრები — კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს შეიტანა.

მიწის პრივატიზაციის საფრთხეების, არქეოლოგიური კომპონენტების დაუცველობის და სარესტავრაციო სამუშაოების დროს ავთენტიკურობის ნაწილობრივი დაკარგვის გამო, 2009 წელს ორგანიზაციამ მცხეთა საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში გადაიტანა და სწორედ ამ მიზეზით, 2015 წელს, გამოცხადა მორატორიუმიც.

„ცხადდება მორატორიუმი ყველანაირ სამშენებლო სამუშაოებზე, მიწის, ქონების პრივატიზაციაზე, რათა მცხეთა საბოლოოდ დაბრუნდეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ძირითად სიაში“, — განაცხადა მაშინდელმა კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

* * *

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ რეკომენდაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესაბამისად, 2014 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ მუშაობა დაიწყო მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შექმნაზე. ამ გეგმას ქალაქში მშენებლობის პროცესი და სტანდარტები უნდა განესაზღვრა. გეგმის შესაქმნელად მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 160 000 ლარი გამოიყო.

კომპანიის შერჩევის პროცესში, მცხეთის მერიამ საქართველოს საპატრიარქოსა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიმართა და სთხოვა რეკომენდაცია გაეწიათ სანდო, კომპეტენტური ორგანიზაციისთვის, რომელიც ადეკვატურ გეგმას შექმნიდა.

სადაც ურბანული ქსოვილი არსებობს, იქ მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომ ტურისტული თუ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდეს...

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ მერიას სხვადასხვა კომპანიის კონსორციუმის შექმნა და პროცესში „მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის“ ჩართვა ურჩია. სააგენტოს აზრით, წამყვანი როლი კომპეტენტურ საერთაშორიო კომპანიას უნდა დაკისრებოდა.

გენერალური გეგმის მომზადების სურვილი და მზაობა გამოთქვა თბილისის სამხატვრო აკადემიამაც.

საბოლოოდ, მცხეთის მერიამ არჩევანი შპს „სალი 2011“-ზე შეაჩერა, რომელსაც რეკომენდაცია საპატრიარქომ გაუწია. **„გვინდა, დაგარწმუნოთ, რომ სამუშაო შესრულდება პროფესიონალურად მაღალ დონეზე, რაც წმინდა დედაქალაქ მცხეთის ძირძველი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან ერთად ხელს შეუწყობს მის სამომავლო განვითარებას“,** — ეწერა საპატრიარქოს სარეკომენდაციო წერილში.

გენერალური გეგმის შემუშავებაზე „სალი 2011“-მა ორი წელი დახარჯა, თუმცა საბოლოო დოკუმენტი წუნიანი აღმოჩნდა. დოკუმენტი უარყოფითად შეაფასა როგორც იუნესკომ, ასევე მცხეთის საკრებულომ.

„რატომღაც კომპანიამ სამუშაო პროცესში არ გაითვალისწინა იუნესკოს რეკომენდაციები. მის კომუნიკაცია მოხდა და ამიტომ არ იყო ეს დოკუმენტი სრულფასოვანი“, — ამბობს ნიკა ანთიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი რადიო „თავისუფლებასთან“ და განმარტავს, რომ კომპანიამ არ გამოიკვლია სოციალური, ტრანსპორტის, კომუნიკაციების საკითხები.

ამ პროცესის ჩავარდნის შემდეგ მცხეთელებისთვის მორატორიუმი კიდევ 2 წლით გახანგრძლივდა.

ამავე წელს, დიდწილად, სწორედ მორატორიუმის მოქმედების ხარჯზე, იუნესკომ მცხეთა საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხიდან ამოიღო და კულტურული მემკვიდრეობის სიაში დააბრუნა.

რას ნიშნავდა ივანიშვილის განცხადება — უძმდება თუ არა მორატორიუმი?

20 ნოემბერს ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რეგიონების წარმომადგენლებთან პროდუქტიული შეხვედრების მაგალითად მცხეთა მოიყვანა და თქვა, მცხეთელები შფოთავენ დიდი ხანია, რადგან იქ მშენებლობა შეჩერებულიაო და დაამატა, **„გუშინ ეს საკითხიც დაიძრა და გადაიჭრაო“.**

იმის გასარკვევად, თუ რა იგულისხმა ივანიშვილმა, რადიო „თავისუფლება“ ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსა და მცხეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას დაუკავშირდა.

სამინისტროში ამბობენ, რომ მორატორიუმი არ უქმდება და საუბარია ცვლილებებზე, რომლებიც ადგილობრივებს „ელემენტარული სამუშაოების“ ჩატარების საშუალებას მისცემს.

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი რეზო მამულაშვილი განმარტავს, რომ პრინციპები ჯერჯერობით შეთანხმებული არაა. მისი თქმით, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ინდივიდუალურად განიხილავს პროექტებს გენერალური გეგმის შექმნამდე.

მამულაშვილის თქმით, იმ ტერიტორიას, რომელიც განაშენიანებული არაა ცვლილებები არ შეეხება, იქ მშენებლობა კვლავ აკრძალული დარჩება.

„სადაც ურბანული ქსოვილი არსებობს, იქ მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომ ტურისტული თუ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდეს. ხაზოვანი ნაგებობები, გზები, ქსელები, ასევე, მოსახლეობას რომ მიეცეს ისეთი მშენებლობის უფლება, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას საფრთხეს არ შეუქმნის“.

მორატორიუმში შესატანი ცვლილებები იუნესკოსთან უნდა შეთანხმდეს, ორგანიზაციის სპეციალისტები საქართველოში ნოემბრის ბოლოს ჩამოვლენ.

„ზუსტად რა დრო დასჭირდება ამას, არ ვიცი, მაგრამ დეკემბრის თვეში კომისიამ მუშაობა უნდა დაიწყოს“, — ამბობს რეზო მამულაშვილი.

21 ნოემბერს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა მცხეთის სივრცითი განვითარების გეგმის შესაქმნელად ახალი ტენდერი გამოაცხადა.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დირექტორი ნიკა ანთიძე ამბობს, რომ ამჯერად, დოკუმენტის მომზადებაში იუნესკოც იქნება ჩართული. წინადადებების მიღება 21 დეკემბერს დასრულდება, დოკუმენტის დასამზადებლად გამარჯვებულ კომპანიას 9 თვე ექნება და ეს პროექტი ბიუჯეტს 1 800 000 ლარი დაუჯდება.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲐ

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲣᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲛ?

ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲨᲘ რომ ბიზნესი სწრაფი ტემპებით ვითარდება, ამის შესახებ სახელმწიფოს წამრომადგენლები მუდმივად საუბრობენ. სწორედ, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ბოლო წლებში რამდენიმე პროექტიც (აწარმოე საქართველოში, სტარტაპ საქართველო) შეიქმნა, რაც მეწარმეებს ბიზნესის შექმნაში და მის შემდგომ განვითარებაში ეხმარება. თუმცა, ამის პარალელურად, ბიზნესმენები ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ ხელისუფლების მხრიდან, გაურკვეველი მიზეზებით, სისტემატურად იბლოკება მნიშვნელოვანი პროექტები.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲬᲔᲠᲡ:

ღვინის მუზეუმი „ქვევრი“ — მიმდინარე წლის ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელმაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მერიასთან შეუთანხმებლობის გამო მისი განხორციელება ამ დრომდე ვერ ხერხდება. როგორც „კომერსანტს“ პროექტის ხელმძღვანელმა მაია ჩადუნელმა განუცხადა, მან ერთი ინვესტორი უკვე დაკარგა და ამ ეტაპზე დამფინანსებლის მოძიება ხელახლა უწევს. მიზეზი კი მერიაში პროექტის დამტკიცების და მისი ადგილმდებარეობის შერჩევის გაჭიანურება აღმოჩნდა.

ღვინის მუზეუმი „ქვევრი“ 4 სართულს მოიცავს და რამდენიმე ნაწილად დაიყოფა. „ქვევრის“ მშენებლობის დასრულება და სტუმრების მიღება 2019 წლის ბოლოსთვის იგეგმებოდა, თუმცა ამ დროისთვის ეს თარიღიც უცნობია, რადგან მუზეუმის აშენების ზუსტი დრო მერიასთან თანამშრომლობის შედეგად უნდა გადაწყდეს. ღვინის მუზუმის მშენებლობის სავარაუდო ადგილად რიყის პარკი მოიაზრებოდა.

სასტუმრო Radisson RED — ეს მშენებლობა თბილისის მერიამ მიმდინარე წელს უკვე მეორედ, ამჯერად უვადოდ გადადო. მშენებლობის ნებართვის გაუცემლობის მიზეზი ისევ პროექტის განსახორციელებელი ადგილმდებარეობის დაწუნებაა. როგორც საქართველოში პროექტის პარტნიორი კომპანია Commerce Group-ის მფლობელი, ბიზნესმენი დავით კოდუა „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, წლების წინათ დაწყებული სამეზობლო დავა განახლდა და მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ბიზნესმენს ჭავჭავაძის გამზირზე №23-ში Radisson RED-ის ბრენდის 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა ადგილობრივი მცხოვრებლების უარის გამო განუცხადა.

ლილოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამმუშავებელი ქარხანა — ქარხანა 2018 წლის ნოემბერში სატესტო რეჟიმში უნდა ამუშავებულიყო, თუმცა პროექტის განხორციელება გაურკვეველი ვადით შეჩერდა. პროექტის ჯამური ღირებულება 85 მილიონ დოლარამდეა. მრავალმილიონიანი პროექტის განმახორციელებელი კომპანიის „კა დე ვე ჯორჯიას“ ხელმძღვანელი ვაჟა სამადბეგიშვილი მერიას, კერძოდ, კი კახა კალაძეს, ქარხანასთან დაკავშირებით პირად ინტერესში ადანაშაულებს და მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწის მითვისებაში სდებს ბრალს.

კუს ტბის განაშენიანების ახალი გეგმა (45 ათასი კვადრატული მეტრის) — 2018 წელს დაანონსებული პროექტია, რომლის ავტორი კუს ტბის გენერალური დირექტორი ნინო ბადაგაძეა. კუს ტბის გენერალური გეგმის ფარგლებში ადგილზე მრავალი სივრცის მოწყობა და გასართობი ობიექტის მშენებლობა იგეგმებოდა. რეკრეაციული ზონით როგორც ქართველი, ისე ამერიკელი ინვესტორები იყვნენ დაინტერესებულები. თუმცა, როგორც სხვა პროექტები, ისიც ამჟამად მერიის სამსახურის მიერ მშენებლობის დაწყებისთვის დადასტურების მოლოდინშია.

ოთხივე პროექტის შეჩერების მიზეზების გარკვევა კომერსანტმა სცადა დედაქალაქის მთავრობაში, მათ პასუხებს მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

ᲚᲘᲙᲐ ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ

რა ქონებით ტოვებს მთავარსარდლის პოსტს ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი?!

გიორგი მარგველაშვილი ზუსტად 21 დღეში, ახალი პრეზიდენტის, წინასწარი ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის შემდეგ, მთავარსარდლის ტიტულს და ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეს ერთდროულად დაემშვიდობება.

6 წლის წინათ კი, უპარტიო ფილოსოფოსი „ქართული ოცნების“ რჩეული კანდიდატი იყო და ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით თავად იბრძოდა პრეზიდენტობისთვის.

„ჩემი აზრით, ეს არის საუკეთესო ვარიანტი, იდეალური ვარიანტიც კი, ასეც ვიტყოდი. თუ რამე თვისება შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, თუ რამე ღირსება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ყველა ღირსება მას აქვს ჭარბად“, — ამბობდა ჯერ კიდევ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილზე ბიძინა ივანიშვილი.

გიორგი მარგველაშივილმა 2013 წლის 27 ოქტომბერს, ხმათა უმრავლესობით — 62,18%-ით გაიმარჯვა.

მაგრამ საპრეზიდენტო ინაუგურაციიდან რამდენიმე თვეში პრეზიდენტსა და „ქართული ოცნების“ ლიდერს შორის განხეთქილება დაიწყო. მიზეზი პრეზიდენტის ავლაბრის სასახლე გახდა, რომელიც გიორგი მარგველაშვილმა არ დატოვა და სპეციალურად მისთვის გარემონტებულ ორბელიანის სასახლეში არ გადავიდა. მარგველაშვილი ამტკიცებდა, რომ ამით პრეზიდენტის ინსტიტუტს იცავდა. ივანიშვილისთვის კი მიხეილ სააკაშვილის აშენებული სასახლე ბოროტების სიმბოლო იყო.

„მე ვფიქრობ, რომ პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა... ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ, როდესაც ის პრეზიდენტი გახდა. 60 წლის ვხდები და მსგავსი მაგალითიც არ მახსოვს, — ამ სიტყვებით დაასრულა ბიძინა ივანიშვილმა და, შესაბამისად, „ქართულმა ოცნებამ“ მთავარსარდალთან თანამშრომლობა.

როგორც ექსპერტები მოგვიანებით აღნიშნავდნენ, სწორედ ამ დაპირისპირების შემდეგ პრეზიდენტის რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

თავად მარგველაშვილმა კი რამდენიმე კვირის წინათ განმარტა:

„ხუთი წელიწადი ამას ვაკეთებდი, რომ ღიად და ყოველგვარი დაფარვის გარეშე ვეუბნებოდი იმას, რაც გასაკეთებელი იყო და სადაც იყო შეცდომები, ამას ვეუბნებოდი. თუმცა ხუთი წლის განმავლობაში მე მხოლოდ კრიტიკა მესმოდა ამის გამო და უსამართლო თავდასხმები“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ყველაზე ხმაურიან დაპირისპირებად შეიძლება ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესი ჩაითვალოს, რომელსაც პრეზიდენტმა ბოიკოტი გამოუცხადა და ალტერნატიული განხილვებიც მოაწყო, თუმცა საბოლოოდ პარლამენტის მიერ დამტკიცებულ კონსტიტუციას ხელი მაინც მოაწერა და ეს კონსტიტუცია, სწორედ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ამოქმედდება.

მმართველ პარტიასთან დაპირისპირების გარდა, მეოთხე პრეზიდენტი საზოგადოებას ყველაზე მეტად ვეტოებით და შეწყალებებით დაამახსოვრდა:

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ხუთი წლის განმავლობაში გიორგი მარგველაშვილმა 4125 პატიმარი შეიწყალა, მათმა ნაწილმა სასჯელაღსრულების დაწესებულება შეწყალების აქტის გამოცემისთანავე დატოვა, ნაწილს კი სასჯელი სხვადასხვა ვადით შეუმცირდა. ასევე იყო ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები და 11 ვეტო, რომლებიც საბოლოოდ საპარლამენტო უმრავლესობამ 11-ჯერვე დაძლია.

პირველი ვეტო გიორგი მარგველაშვილმა არჩევიდან ერთი წლის შემდეგ „მოსმენების კანონთან“ დაკავშირებით გამოიყენა. მას შემდეგ იყო ვეტო „მოსმენების გასაღებზე“, თვითმმართველობის კანონზე, ეროვნული ბანკის შესახებ კანონზე, სასამართლო რეფორმის მესამე ტალღაზე, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ა.შ.

პრეზიდენტის ანგარიშზეა საერთაშორისო შეხვედრები, მაღალი დონის ვიზიტები სტრატეგიულ ქვეყნებში და ასევე მათი პირველი პირების სტუმრობა საქართველოში. განხორციელდა საინტერესო პროექტები, მაგ. შეიძლე ქართული, ასწავლე ქართული ენა, კონსტიტუცია შენია და ა.შ.

რა ძონებით ტოვებს გიორგი მარგველაშვილი ძვეყნის მთავარსარდლის თანამდებობას?

2018 წლის 3 მარტს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, გიორგი მარგველაშვილი ფლობს 4462 კვ/მ მიწის ნაკვეთს დუშეთში, რომელიც მან 2004 წელს 11 000 დოლარად შეიძინა. 2004 წელს 2 500 დოლარად იყიდა 200 კვ/მ ფართის სახლი დუშეთში. ასევე მის მფლობელობაშია თბილისში საცხოვრებელი სახლი, რომელიც მან 2011 წელს შეიძინა; 120 კვ/მ ბინა, რომელიც 2009 წელს იყიდა.

დეკლარაციის მიხედვით, პრეზიდენტობის პერიოდში, 2016 წელს მარგველაშვილმა დუშეთში შეიძინა 40 კვ/მ საცხოვრებელი სახლი, რაშიც 10 000 ლარი გადაიხადა. პრეზიდენტის მეუღლის მაკა ჩიჩუას სახელზე 70 კვ/მ ფართის ბინა თბილისში, რომელიც მან 2002 წელს შეიძინა. ასევე, დეკლარაციის მიხედვით, გიორგი მარგველაშვილმა 2017 წელს პრეზიდენტის პოსტზე 82 800 ლარის შემოსავალი მიიღო. დეკლარაციის შევსებისას მას სახელფასო ანგარიშზე ჰქონდა 6 695 ლარი.

კომერსანტი

რატომ ვერ დაბრუნდება გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში...

„მომავალი წლიდან შესაძლოა „დედა ენა“ სკოლებში დაბრუნდეს“, — ამ შინაარსის განცხადება განათლების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს მარიამ ჯაშს ეკუთვნის და ის მედიით 25 ნოემბერს გავრცელდა.

მოგვიანებით პარლამენტის საიტზე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ პარლამენტის წევრებმა ზაზა გაბუნიამ და მარიამ ჯაშმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმადაც განათლების სამინისტრო, ექსპერტთა საბჭოს მეშვეობით, „დედა ენის“ ქართულ სანაბანე სახელმძღვანელოს, იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს მოამზადებს და დაბეჭდავს სასწავლო პროცესისთვის.

განცხადების თანახმად, **„დედა ენა“, რომელსაც მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ცვლილებებისგან და სკოლის მოსწავლეები შეუფერხებლად სწავლობდნენ ამ წიგნით.“**

განცხადებიდან ვერ ვიგებთ იაკობ გოგებაშვილისეული სახელმძღვანელოს, რომელი რედაქციის შეტანას ცდილობს საინიციატივო ჯგუფი სკოლებში, ვინაიდან 1865 წლის შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ 33-ჯერ გამოსცა და 1876 წლის რედაქციას უწოდა **„დედა ენა“**, მანამდე გამოცემულ სახელმძღვანელოებს **„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“** ერქვა.

ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს გრიფირების სტანდარტული წესის მიღმა, რადგან „დედა ენა“ არის ჩვენი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი...

როგორც განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში განმარტა, საუბარია იაკობ გოგებაშვილის მეთოდიკით შექმნილ „დედა ენაზე“, რომლის ზუსტი შინაარსი უნდა შეადგინოს იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებასთან ერთად ექსპერტთა კომისიამ, რომელიც იმუშავებს განათლების სამინისტროს ბაზაზე და შეჯერებული რედაქცია იქნება დამტკიცებული.

„საკანონმდებლო ინიციატივა მოიცავს ექსპერტთა კორპუსის შექმნას და ეს კორპუსი მიიღებს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ რა შინაარსით, არამედ რა წესით უნდა დაბრუნდეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლაში, ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს გრიფირების სტანდარტული წესის მიღმა, რადგან „დედა ენა“ არის ჩვენი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება წლებია იაკობ გოგებაშვილისეული „დედა ენის“ სკოლებში შეტანას ლობირებს. ორგანიზაციის თანათავმჯდომარე გიორგი გოგოლაშვილი რამდენიმე ინტერვიუში საუბრობს, რომ გოგებაშვილისეულმა „დედა ენამ“ განათლების სამინისტროსგან გრიფი 2009 წელს მიიღო, 2011 წლის გრიფირების კონკურსში კი გრიფი ვეღარ მოიპოვა იმ არგუმენტით, რომ მეთოდოლოგია იყო მოძველებული.

შეკითხვას, ხომ არ შეიძლება ეს ინიციატივა, რომელიმე ერთი ჯგუფის მხარდაჭერად აღვიქვათ, მარიამ ჯაში მიკერძოებულს უწოდებს, თუმცა დასძენს, რომ

„იმისთვის, რომ ერთპიროვნული მხარდაჭერა არ მოხდეს რომელიმე ჯგუფის მიმართ შეიქმნება კომისია“.

რას გულისხმობს გრიფირების სტანდარტული წესი და უშვებს თუ არა ის გამონაკლისებს?

„ნეტავ რომელი რედაქცია უნდა იყოს? ცხადია, 1912 წლის გამოცემა არ იგულისხმება“, — შეკითხვაზე შეკითხვითვე უპასუხობს განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულების ხელმძღვანელი თამარ ჯაყელი, რომლის თქმითაც **„ამ გამოცემის უცვლელი სახით შეტანა სკოლებში ბევრ უხერხულობას შექმნის“.**

უკვე გრიფირებულია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები, კონტრაქტები გაფორმებულია, უამრავი რამ არის უკვე შეთანხმებული და ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი შეიცვალოს...

„არ მგონია, ვინმე ამას ფიქრობდეს, ვინაიდან 40-იანი წლებიდან მოყოლებული მოსწავლეები გოგებაშვილის „დედა ენის“ ადაპტირებული ვერსიით სწავლობენ. არ შეიძლება, წიგნი მოწყდეს კულტურული და პედაგოგიკური განვითარების პროცესებს და ამის მაგალითი იაკობ გოგებაშვილმა მოგვცა, რომელმაც რამდენჯერმე შეცვალა თავისი პირველი გამოცემა.“

1-დან მე-6 კლასის ჩათვლით ყველა საგნის სახელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმით უკვე აქვს გრიფი და მომავალი 5 წლის განმავლობაში ამ საფეხურის ახალ სახელმძღვანელოზე გრიფი არ გაიცემა. შესაბამისად, გრიფს „დედა ენა“ მინიმუმ 5 წლის განმავლობაში ვერ მიიღებს. თუმცა „დედა ენის“ ადაპტირებული 2 სახელმძღვანელო სკოლებში ამჟამადაც არსებობს.

„უკვე გრიფირებულია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები, კონტრაქტები გაფორმებულია, უამრავი რამ არის უკვე შეთანხმებული და ვერ წარმომიდგენია როგორ შეიძლება ეს ყველაფერი შეიცვალოს“, — ამბობს თამარ ჯაყელი. მისი თქმით, ცალკე აღებულ ერთ სახელმძღვანელოს გრიფი არ ენიჭება.

წინასაარჩევნო პერიოდი და ეროვნული სენტიმენტები.

თუ განათლების სამინისტრო „დედა ენის“ გრიფირების საკითხის წამოწევას იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მცდელობებთან აკავშირებს, საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ საკითხმა აქტუალობა წინასაარჩევნოდ, ეროვნული მოტივების მხარდაჭერის საბურვლით შეიძინა.

სტატიაში „გოგებაშვილის მეთოდის პარადოქსი“, ლიტერატორი **ქეთო ნინიძე** წერს, რომ „დედა ენამ“, როგორც ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განათლების სიმბოლომ, ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი — საბჭოთა რეჟიმის პირობებში საქართველოს ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა, თუმცა, ის თანამედროვე ბავშვის საჭიროებებს ნაკლებად ეხმიანება:

„არა იმდენად მეთოდური აცდენაა, რამდენადაც თემატური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური იმიტომ, რომ ის „დედა ენა“ აბსოლუტურად სხვა სოციალური კულტურული გამოწვევისთვის და მიზნობრივი ჯგუფისთვის იქმნებოდა და ახლა სულ სხვა მოცემულობა გვაქვს. მეეჭვება, „დედა ენის“ რეკონსტრუქციაზე საუბრისას მხედველობაში ჰქონდეთ ის, რომ წიგნი მორგებული უნდა იყოს დღევანდელი და არა საუკუნისწინა ბავშვის ინტერესებს, ყოფას, მის ლექსიკას.“

ნინო ხარაძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს ეხმაურება ტელეკომპანია France 24.**

გამოცემა წერს, რომ სალომე ზურაბიშვილმა მეორე ტურში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ბიულეტენების 98.41 პროცენტის დათვლის შედეგად, ხმათა 59.61 პროცენტი მიიღო. მისმა მოწინააღმდეგე გრიგოლ ვაშაძემკი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერობით 11 ოპოზიციური პარტიის კანდიდატია, ხმათა 40.39 მიიღო.

„დასავლური ძალები ყურადღებით აკვირდებიან არჩევნებს, როგორც კავკასიური ერის დემოკრატიულ სიმტკიცეს, რამდენადაც ქვეყანა ევროკავშირისა და ნატოს წევრობისკენ მიისწრაფის“, — წერს France 24. ფრანგული ტელეკომპანია აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ახალ მეთაურს დიდწილად ცერემონიალური როლი ექნება. **„არჩევნები ერთგვარი ტესტია ივანიშვილის პარტიისა და ოპოზიციის დაპირისპირებამდე 2020 წლის მნიშვნელოვან საპარლამენტო არჩევნებში“,** — წერს მედიასაშუალება.

„ორივე კანდიდატი საქართველოს დასავლეთთან დაახლოების პირობას დებდა, თუმცა ანალიტიკოსების თქმით, მათ ამ მიზანთან სხვადასხვა მიდგომა აქვთ“, — აღნიშნავს France 24. მედიასაშუალება სალომე ზურაბიშვილის წარსულსაც მიმოიხილავს.

„სალომე არის ქალიშვილი ლტოლვილებისა, რომლებიც საქართველოდან პარიზში 1921 წელს, წითელი არმიის მიერ ქვეყნის ანექსირების შედეგად გაიქცნენ“, — აღნიშნავს მედიასაშუალება.

FRANCE 24

„THE WASHINGTON POST“ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს ეხმაურება.

„საფრანგეთში დაბადებული დიპლომატი საქართველოს არჩევნებში იმარჯვებს“, — წერს გავლენიანი ამერიკული გამოცემა.

სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ამომრჩეველთა ხმების 59% მიიღო.

„საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მმართველი პარტია „ქართული ოცნებისთვის“ გადამწყვეტ ტესტად განიხილებოდა“, — წერს „Washington Post“.

გამოცემა სალომე ზურაბიშვილის ბიოგრაფიას მიმოიხილავს და წერს, რომ ბევრი ქართველი მას რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო აკრიტიკებდა.

„ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მის მიერ უცხოეთში მიღებული გამოცდილება პრეზიდენტად სამსახურში დაეხმარება, მაშინ როდესაც საქართველო ევროკავშირთან დაახლოებას ცდილობს“, — წერს ამერიკული გამოცემა.

„საფრანგეთში დიპლომატიური სამსახური, საქართველოს სამსახური იყო. ყველამ იცის, რომ მე ვარ ქართველი, რომელიც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. მე ძალიან კარგად ვიცი დამოუკიდებლობის და თავისუფლების ფასი“, — მოჰყავს სალომე ზურაბიშვილის სიტყვები ავტორიტეტულ გამოცემას.

„Washington Post“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ **კვირა დღეს, 25 ნოემბერს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს კატარღებმა შავი ზღვის რუსული ფლოტის მხარდაჭერით უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების ორი კატარღა — „ნიკოპოლი“ და „ბერდიანსკი“ დააკავეს, თუმცა მანამდე ცეცხლი გახსეს. უკრაინულ ხომალდებს, რომლებიც მარიუპოლისკენ მიემართებოდნენ, აზოვის ზღვაში ბუქსირი მიაცილებდათ. 2003 წლის შეთანხმებით, რომელსაც მოსკოვიც კი მოქმედად მიიჩნევს, აზოვის ზღვა და ქერჩის სრუტე უკრაინა-რუსეთის ერთობლივ შიდა წყლებად ითვლება. თუმცა მოსკოვი ამტკიცებს, რომ უფლება აქვს, იქ უცხოური სამხედრო ხომალდები არ შეუშვას, კიევი კი აცხადებს, რომ იქ გავლის უფლება გააჩნია.**

ჩვენს (რუსეთის) ხელისუფლებასა და სახელმწიფო პროპაგანდას თავის მტვრევა მოუწიათ იმის მეტნაკლებად მისაღები მიზეზის მოსაფიქრებლად, რატომ იყო, რომ უკრაინულ კატარღებს ჯერ დიდი ხნის განმავლობაში არ უშვებდნენ აზოვის ზღვაში, ხოლო მას შემდეგ, რაც საბოლოოდ შემოტრიალდნენ და შინისაკენ — ოდესისკენ აიღეს გეზი („გიურზა-ემი“-ს ტიპის მცირე კატარღებს ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობა მხოლოდ 5 საათი აქვთ), რუსმა სამხედროებმა (მესაზღვრეებმა) გარე საფრთხის არარსებობის პირობებში ცეცხლი გახსნეს და სამი უკრაინელი მეზღვაური დაჭრეს (კიევის მონაცემებით, დაიჭრა 6). უკრაინული კატარღები და ბუქსირი ეკიპაჟებითურთ (23 თუ 24 ადამიანი) ტყვედ აიყვანეს და ქერჩში გადაიყვანეს.

„გიურზა-ემი“-ს ტიპის მდინარის კატარღებს 5-კაციანი ეკიპაჟი ჰყავთ, გააჩნიათ ჯავშანსაფარი და ორი საბრძოლო მოდული „შტურმის“ ტიპის სახმელეთო ᲑᲛ-3-ისგან: ერთი — წინ, ერთიც — უკან. თითოეული მათგანი 30-მმ-იანი კალიბრის ავტომატური ზარბაზნით, ასევე ავტომატური ყუმბარმტყორცნითა და უკრაინული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს „ბარიერ-ვეკა“-თია აღჭურვილი. ამგვარად, ეს ერთგვარი დაწყვილებული მცურავი საბრძოლო ჯავშანმანქანაა, რომელსაც ძალუძს, აწარმოოს ახლო ბრძოლა წყალზე, ან ცეცხლი გაუხსნას სამიზნეს ნაპირზე. და, ჩემი აზრით, თავისთავად ეს ორი უკრაინული „გემუკა“ ყირიმის ხიდისთვის, ან აზოვი-შავი ზღვის რეგიონებში, ცასა და წყალზე რუსეთის ტოტალური დომინირებისთვის რეალურ საფრთხეს არ ქმნიდა.

რუსული მხარე ირწმუნება, რომ „ყირიმის ხიდის“ ქვეშ გავლის შესახებ განაცხადი „დადგენილი წესით“ არ იყო წარდგენილი, თუმცა ეს, ცხადია, ცოცხალი ადამიანებისთვის ცეცხლის გახსნის მიზეზად ვერ გამოდგება. იმ არაერთი საათის განმავლობაში, რომელიც 25 ნოემბერს დაპირისპირება გაგრძელდა, ალბათ, თავისუფლად შესაძლებელი იყო გზების მოძიება უკრაინული ხომალდებისთვის ან აზოვის ზღვაში გავლის, ან შინ — ოდესაში დაბრუნების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲖᲔᲮᲔᲚᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ: ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲖᲔᲮᲔᲚᲝᲑᲔᲜ, ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲛᲝᲖᲕᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲔᲑᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲔᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ, ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘᲗ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲡ ᲔᲡᲮᲛᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲡ. ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲐᲒᲔᲠ, ᲡᲠᲝᲚᲐᲛᲓᲔᲪ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲫᲛᲔ.

ამასთან, უკრაინული კატარღების უკან ხელმძღვანელობა, რაღა თქმა უნდა, მთავარ მოწინააღმდეგეს — ევროკავშირსა და ნატოს ხედავს, რომლებიც ოფიციალურმა მოსკოვმა უკვე გააფრთხილა „აზოვისა და შავი ზღვის აკვატორიებში რუსეთთან კონფლიქტის შესაძლო პროვოცირების მოსალოდნელი სერიოზული შედეგების“ შესახებ.

მაინც რაშია უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ მსგავსი მარშრუტების შერჩევის მიზეზი? უკრაინელები ბერდიანსკში საზღვაო ბაზას აშენებენ და მის დასაცავად ნიკოლაევში აგებული კატარღების გადასროლას ახორციელებენ.

მოსკოვში სერიოზულად შიშობენ, რომ ბერდიანსკი, თუ იქ ბაზის აღჭურვა რეალურად მოხერხდება, ნატო-ს გემების მეგობრული ვიზიტების ადგილად იქცევა. გემებისა, რომლებსაც ძალუძთ, იმოქმედონ აზოვის მცირეწყლოვან ლიტორალზე, შეიარაღებულები არიან დიდი სიშორის მძლავრი სარაკეტო იარაღით, დაცულები არიან თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსებით. მაშინ, მაგალითად, გართულდება ან სულაც შეუძლებელი გახდება კასპიის ზღვიდან შავსა და ხმელთაშუაში, ასევე უკან (აზოვისა და ვოლგო-დონის არხის გავლით) „კალიბრის“ რაკეტებით აღჭურვილი კორვეტების გადასროლა, რასაც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მუდმივად ახორციელებს. სხვათა შორის, შავი ზღვის ფლოტის უამრავი საბრძოლო გემი ვერგამოყენებადია აზოვის ზღვაში მისი მცირეწყლოვანების გამო.

კავკასია, ყირიმი, შავი ზღვა, ბოსფორი, ბაზები სირიაში და დაჯგუფება ხმელთაშუა ზღვაში სადღეისოდ ერთიან უმნიშვნელოვანეს სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებაში შედიან, რომელმაც უპირველესად, შორეულ მისადგომებზე სოჭის — ხშირად ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების მართვის ძირითადი ცენტრის დაცვა უნდა უზრუნველყოს. სავარაუდო მოწინააღმდეგემ კი ბერდიანსკში ბაზის გაშლით მთელი ამ სტრატეგიის მორყევა განიზრახა.

უკრაინამ საპასუხოდ რამდენიმე ოლქში 30 დღით საომარი მდგომარეობა შემოიღო. და პრეზიდენტი პოროშენკო არა მარტო ქერჩის ინციდენტზე აპელირებდა, არამედ, უპირველესად, დაზვერვის მონაცემებზე დონეცკის ფრონტის სამხრეთ ფლანგზე რუსული (პრორუსული) ძალების მოსალოდნელი შეტევის შესახებ მარიუპოლისა და ბერდიანსკის ასაღებად.

2015 წლის ზაფხულიდან ნატოს შტაბებსა და პენტაგონში ბევრჯერ გაიმართა დისკუსიები „ყირიმისკენ სახმელეთო დერეფნის“ გასაჭრელად მსგავსი ლაშქრობის ალბათობის თაობაზე. ასეთი გასასვლელი ყირიმის ხიდის გახსნასთან ერთად თითქოს არააქტუალური გახდა, თუმცა ახლა ან ბერდიანსკის საზღვაო ბაზამ შეაშინა მოსკოვი, ან ყირიმის ხიდთან დაკავშირებით წარმოიშვა რაღაც სერიოზული პრობლემები, რომელსაც ჯერჯერობით არ გვიმხელენ, ან ერთიცა და მეორეც — ერთდროულად.

ვერ გამოვრიცხავთ, რომ უახლოეს ხანებში დაიწყოს ზამთრის კამპანია აზოვის ზღვისპირეთიდან უკრაინის საბოლოოდ გაძევებისათვის...

ᲞᲐᲕᲔᲚ ᲤᲔᲚᲒᲔᲜ�გᲐᲣᲔᲠᲘ,
სამხედრო ექსპერტი


ჰამურაბის სასამართლო

განვლილი ორი ასეული წლის მანძილზე მესოპოტამიის უძველეს მიწაზე ათასობით სოლისებრი ტექსტიანი თიხის ფირფიტა იქნა ნანახი. ოთხ ათასეულ წელზე მეტი ხნის წინათ მცხოვრები ხალხის სულიერ სამყაროში გასარკვევად მკვლევარებმა ძველი ტექსტების გაშიფვრას შეუდგნენ. მიგნებულ არქეოლოგიურ მასალაში მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი კანონთა კრებულის გამოკვლევა დაიწყეს, რომელიც ბაბილონის მეფე ჰამურაბის ეკუთვნის.

ბაბილონის მეექვსე მეფე ჰამურაბი მმართველი ჩვ.წ.აღ-მდე 1793 წლიდან 1750 წლამდე იყო. ამ ძლევამოსილმა ხელმწიფემ სპარსეთის ყურიდან ვიდრე ასურეთამდე მიწების გაერთიანება შეძლო, თუმცა მისი გამეფების მომენტისთვის ბაბილონი ახალგაზრდა და ერთობ მოკრძალებული სახელმწიფო იყო. მიღწეულმა წარმატებებმა კი მას ბაქიობით ათქმევინა კანონთა თავის ცნობილი კრებულის შესავალში: **„მე ვარ მზრუნველი, დიდი ღმერთების მორჩილი, სუმულაელის შთამომავალი, სინ-მუბალითის ძლევამოსილი მემკვიდრე, ხელმწიფობის მუდმივი თესლი, მძლავრი მეფე, ბაბილონის მზე, რომელმაც სინათლე მისცა შუმერისა**

ჰამურაბის კოდექსი

და აკადის ქვეყანას, ბატონი, რომელმაც მორჩილება აიძულა ქვეყნის ოთხივ მხარეს, რჩეული ქალღმერთ იშტარისა!“

არადა, ბრძოლის ველზე მიღწეულ წარმატებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ჰამურაბის საქმე, რომელიც უზარმაზარ სახელმწიფოში მართლწესრიგის დამყარებას ითვალისწინებდა, იყო კანონთა ერთიანი კრებსის შექმნა. ყველა თავისი დადგენილების სრული ტექსტის ამოკვეთა მეფემ 2,25 მეტრის სიმაღლის ქვის სვეტზე ბრძანა. იგი ესაგილაში, ქალაქის მთავარ საყდარში დადგეს, მაგრამ ბაბილონიასა და ელამს შორის გაუთავებელი ომების შედეგად, ამ უკანასკნელის მეფე შუთრუკ-ნახუნტე I-მა (ქვეყანას იგი ჩვ.წ.აღ-მდე 1185-1155 წ.წ. მართავდა) ბაბილონელთა ჯარი თავისი მიწებიდან განდევნა, შემდეგ თავად ბაბილონიც დალაშქრა, სხვა ქალაქებიც დაარბია და იქიდან სუზში, ანუ თავის დედაქალაქში მდიდარი ნადავლი, მათ შორის **„ჰამურაბის კოდექსიც“** წაიღო.

1902 წელს საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ძველი ქალაქის სუზის გათხრების დროს ცილინდრული ფორმის შავი ბაზალტის მონალითი აღმოაჩინა, ზედ დატანილი სოლისებრი წარწერებით, რომელშიც ჰამურაბის სასამართლო კოდექსის თითქმის სამი ასეული მუხლი იყო ჩამოთვლილი. სწორედ მაშინ გაიგო მსოფლიომ მათი არსებობის შესახებ, პარიზის ლუვრში კი დღემდე ინახება ბაბილონური კულტურის ეს ყველაზე ცნობილი ნიმუში.

მონოლითის თავში მზის ღმერთის შამაშის წინაშე მდგარი ხელმწიფეა გამოსახული. იგი მოწიწებით იღებს ღმერთისგან კანონთა კრებულს, რითაც ხაზს უსვამს მათ ღვთიურ, ანუ ზებუნებრივ წარმოშობას. ქვევით კი, სვეტის ორთავე მხარეს კანონთა ტექსტი მიუყვება.

ბაზალტის სვეტის თავი ამოტვიფრული კანონების ტექსტით

ჰამურაბის გამოსახულება (პირველი მარცხნიდან). მის უკან ბიბლიური წინასწარმეტყველი მოსე დგას.

თავისუფალ (და არა მონათა!) ადამიანთა **მსოფლიო ისტორიაში პირველი იურიდიული კოდექსი**, რომელიც მათ უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს, ჰამურაბის ისტორიული შესავლით იწყება, რომელშიც კერძოდ, აღნიშნულია, რომ ღმერთებმა იგი **„...ქვეყანაში სამართლიანობის დასამყარებლად და უსამართლოთა და ბოროტთა მოსასრავად იხმეს, რათა სამართალი ჰპოვოს ობოლმაც და ქვრივმაც...“**

შესავალს თავად საკანონმდებლო აქტების, მთლიანად 282 მუხლის შინაარსი მოჰყვება, რომელიც იმ დროის ბაბილონური საზოგადოების ცხოვრების ფაქტობრივად ყველა ასპექტს – სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალს მოიცავს. ტექსტი კანონთა დამრღვევთა მიმართ თავს დასატეხი ყველანაირი რისხვით და წყევლით სრულდება.

პირველ ყოვლისა, კანონი პირად საკუთრებას იცავს. ქონების ქურდობისთვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული, მისთვის ზიანის მიყენებისთვის – მკაცრი სასჯელი. თუკი ახალ გემში წყალი შედიოდა, მაშინ მის ამგებ ოსტატს საკუთარი ხარჯით ახალი, უფრო საიმედო ხომალდი უნდა აეგო. თუკი ვინმე ზერელედ უდგებოდა დამბების გამაგრებასა და სარწყავი არხების გაყვანას, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და წყალი სხვის ყანებს ტბორავდა, მას ყველა მეზობლისთვის ზარალი უნდა აენაზღაურებინა. კანონი ასევე ზედამხედველობდა არენდის დროულად გადახდასა და ვალის დაბრუნების ვადების დაცვას.

ჰამურაბის კოდექსში გამოყენებულია ბრალეულობისა და ავი განზრახვის პრინციპი. მაგალითად, დადგენილია განსხვავებული სასჯელი განზრახ და უნებლიე მკვლელობებზე. ამასთან, სხეულის დაზიანებები ისჯებოდა ძველთაძველი პრინციპით „კბილი კბილის წილ“. თუნდაც მცირედი დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულებს უხვრეტდნენ ან აჭრიდნენ ყურებს, ტუჩებს, თითებს, ზოგჯერ კი სახეზე მდუღარე ფისს ასხამდნენ.

თუკი ექიმს პაციენტი შემოაკვდებოდა, ანდა რომელიმე ორგანოს დაუზიანებდა, მას ხელს კვეთდნენ. თუკი მშენებლის მიერ აგებული შენობა ინგრევა, იგი სიკვდილით ისჯება, ხოლო თუ ნანგრევებში სახლის პატრონის შვილი დაიღუპა, მშენებელი საკუთარ შვილს სჯის სიკვდილით.

მეომრები (მეფის დაქირავებულები) სახელმწიფოსგან მამულებს, მონებსა და პირუტყვს იღებდნენ, მაგრამ ხელმწიფის პირველსავე დაძახებაზე სალაშქროდ მზად უნდა ყოფილიყვნენ. ეს მამულები მამაკაცის ხაზით გადაიცემოდა, მათი ჩამორთმევა არ შეიძლებოდა: კრედიტორს ვალში მეომრის მხოლოდ იმ ქონების წაღება შეეძლო, რაც მან თავისით შეიძინა.

მეომართა და გადასახადის გადამხდელთა რიცხოვნობა რომ არ შემცირებულიყო, ჰამურაბი ცდილობდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი თავისუფალი მოსახლეობის გადარჩენას. კერძოდ, ერთ-ერთი მუხლით, სამ წლამდე შეიზღუდა სამევალეო მონობის ვადა, რომელიც უწინ სამუდამო იყო. ამ დროის შემდეგ ვალი დაფარულად ითვლებოდა.

დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კოდექსში ოჯახსა და ქორწინებას. საიმისოდ, ქორწინება კანონიერად რომ ყოფილიყო მიჩნეული, უნდა შემდგარიყო კონტრაქტი. ქმრის მხრიდან მრუშობად ითვლებოდა, თუკი ის თავისუფალი კაცის ცოლს შეაცდენდა – ეს ქმედება დიდი ჯარიმით ისჯებოდა. მაგრამ, არაერთგული ცოლების მიმართ კანონი გაცილებით მკაცრი იყო – მას წყალში ახრჩობდნენ. თუკი ქმარი მოღალატე ცოლის პატიებას გადაწყვეტდა, სასჯელისგან არა მარტო ქალი, არამედ მისი შემცდენელიც თავისუფლდებოდა.

ცუდი დიასახლისების თაობაზე კი ნათქვამი იყო შემდეგი: **„თუკი ის ბევრს ყბედობდა, სახლი სათანადოდ მოვლილი არ ჰქონდა და არც შვილები აღზარდა პატიოსან ადამიანებად, იგი წყალში უნდა ჩააგდონ“.** რაც შეეხება მამას, მას უფლება არ ჰქონდა ვაჟიშვილები მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინა, თუკი მათ რაიმე დანაშაული არ ჰქონიათ ჩადენილი და თავისი ხელობაც უნდა ესწავლებინა.

ჰამურაბის მმართველობის დროს ხალხს ასამართლებდნენ არა უხუცესები, როგორიც ეს უწინ იყო, არამედ მეფის მიერ ყველა ქალაქში საგანგებოდ დაყენებული ჩინოსნები. ყველა საქმე მკაცრად დადგენილი წესით განიხილებოდა, მდივანი კი სასამართლო პროცესის მთელ მსვლელობას იწერდა. თუკი საქმე რთული იყო და მოსამართლეს განაჩენის გამოტანა უჭირდა, დამნაშავე ბადრაგს დედაქალაქში გადაჰყავდა, სადაც საქმე მთავარ სასამართლოში განიხილებოდა. გადაწყვეტილებით უკმაყოფილებს მეფესთან მისი გასაჩივრება შეეძლოთ.

მეცნიერები დღესდღეობითაც კამათობენ იმის თაობაზე, არის თუ არა ძველ აღთქმაში უშუალოდ ჰამურაბის კოდექსიდან აღებული ადგილები. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა, ვინაიდან ბიბლიური პატრიარქი აბრამი სწორედ ბაბილონური კანონმდებლის ხანაში ცხოვრობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ ებრაელებს თავიანთი სახელმწიფო ჯერაც არ ჰქონდათ. მაგრამ, ზოგიერთი მაინც მიიჩნევს, რომ ჰამურაბის კანონებიც და ძველი აღთქმაც II ათასწლეულის დასაწყისში აღმოსავლეთში საყოველთაოდ გავრცელებულ ზოგად კანონებს ეფუძნებოდა.

ცხადია, ჰამურაბის კანონები იდეალური არ არის, მაგრამ ესაა მსოფლიოში უძველესი კოდექსი, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებულ მკაცრ წეს-ჩვეულებებს ემყარებოდა, რომლებიც სამართლის უდავოდ მკაცრ და სამართლიან ზომებს ითვალისწინებდნენ.

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

ფორუმი

ხაბელოვი და ხაბარელი – ANOC-ის გენერალურ ასამბლეაზე

ტოკიოში დაიწყო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის (ANOC) 23-ე გენერალური ასამბლეა, რომელშიც მსოფლიოს 206 ქვეყნის ათასზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს.

ასამბლეის დელეგატებს მიესალმა იაპონიის პრემიერ-მინისტრი **სინძო აბე**. საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი **თომას ბახი,** ასევე ANOC-ის აწ უკვე გადამდგარი პრეზიდენტი, **შეიხი აჰმად ალ-ფაჰად ალ-საბაჰი,** რომელიც ეთიკის კომისიის დასკვნის საფუძველზე დროებით ჩამოშორდა თავისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებას. შესაბამისად, გადაიდო ANOC-ის პრეზიდენტის არჩევნები, სადაც ერთადერთი კანდიდატი სწორედ ალ-საბაჰი იყო. ვიდრე ახალი არჩევნები დაინიშნება, ANOC-ს უხელმძღვანელებს პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეული ოკეანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტი, ფიჯელი **რობინ მიტჩელი**.

რაც შეეხება ANOC-ის ასამბლეის დღის წესრიგს, დელეგატები საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ. პრეზენტაციები წარმოადგინეს 2026 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველმა ქალაქებმა – მილანი-კორტინა დ'ამპეცოს ტანდემმა და სტოკჰოლმმა. 2019 წლის ქვიშის პირველი თამაშებისთვის მზადების შესახებ ისაუბრეს სან დიეგო-2019-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა. ასამბლეაზე დასახელდა ANOC-ის ეთიკის კომისიის ახალი შემადგენლობა. ასევე გაიმართა 2018 წლის პიონჩანგის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამორჩეული ვარსკვლავების დაჯილდოების ცერემონია. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ასამბლეაზე წარმოადგენენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი.

კოგა კოგახიძე

კალათბურთი

12 რჩეული

გუშინ გამთენიისას საქართველოს ეროვნული ნაკრები ტალინში გაემგზავრა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში დღეს ესტონეთს დაუპირისპირდება. შეხვედრა ტალინის „საკუ არენაზე" თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება. ესტონეთის ნაკრები L ჯგუფის აუტსაიდერია, თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს უთანაბრდება და, შესაბამისად, ამ მატჩის მოსაგებად ყველაფერს იღონებს.

საქართველოს ნაკრები 23 ნოემბრიდან თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ემზადებოდა. მას მომავალ მატჩებში ვერ დაეხმარებიან ევროლიგაში მოასპარეზე ესპანური „ბასკონიას" წევრები – თორნიკე შენგელია და მეტ ჯენინგი, ნატურალიზებული მოთამაშისთვის გამოყოფილ 1 ადგილს კი თად მაკფადენი დაიკავებს, რომელიც ესპანეთის უმაღლეს დივიზიონში შედეგიანობით ერთ-ერთი ლიდერია. ის „ტენერიფე იბეროსტარის" ღირსებას იცავს და თითქმის ყველა შეხვედრაში საუკეთესო მოთამაშის ტიტულს ეუფლება.

ბალტიისპირეთში გამგზავრების წინ გამართული ბოლო ვარჯიშის შემდეგ, რომლის დასკვნითი ნაწილიც ჟურნალისტებისთვის ღია იყო,ბერძენმა სპეციალისტმა ის 12 მოთამაშე დაასახელა, რომელიც ტალინში ითამაშებს. ესენი არიან: ცინცაძე, ანდრონიკაშვილი, მაკფადენი, სანაძე, როგავა, ბოქოლიშვილი, ფაცაცია, ბურჯანაძე, ბერიშვილი, ლონდარიძე, შერმადინი და ბითაძე.

ნაკრების კალათბურთელები იმავე ვარჯიშზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გაჩაღებულ გლობალურ კამპანიას შეუერთდნენ. 16-დღიანი აქცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, რომელსაც მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია უერთდება. კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების აქტუალიზაციას. აღნიშნული აქტივობის თემას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა. მას საქართველოში კოორდინაციას უწევს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია.

ვიტალი ჯაფარიძე

პროფესიონალის აზრით

სასკოლო სპორტი შველას ითხოვს

დღეს ჩუმად ყოფნა სირცხვილია. როცა ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე, ყოფითი პრობლემით ძალიან დათრგუნული ვიყავი და ვარ, მაგრამ ვიღებ ვალდებულებას, რომ ვისაუბრო სასკოლო სპორტის დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობაზე. ყველას კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ მოზარდი თაობის პიროვნულ ფორმირებას განვითარებულ ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. არ მეგულება ქვეყანა, რომელიც სპორტის გაკვეთილებს სასწავლო პროცესში ზედმეტად მიიჩნევდეს. შემთხვევით არ არის ნათქვამი – ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაში დევსო. დიახ, ფიზკულტურის გაკვეთილებიდან იწყებოდა ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების საპატიო კვარცხლბეკისაკენ სავალი გზა. სპორტის გაკვეთილები რომ სკოლაში პიროვნების სულიერ და ფიზიკურ ჰარმონიულ სრულყოფას ემსახურება, ამაზე უკვე არავინ დავობს.

ძალმომრეობას უფრო ადვილად აიტანდა კაცი, ვიდრე უსამართლობას. ბოლო 15-20 წელიწადი ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, არამედ იმედი გვაქვს მხოლოდ, რომ ვიცხოვრებთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ჯანსაღი აზრის გამოთქმა უზრუნველყოფილია. ის ორგანიზებული ქაოსი, რაც ქართულ სასკოლო სპორტში არსებობს, კარიკატურული ასლია იმისა, რაც ხდება ჩვენს ტანჯულ ქვეყანაში. საქართველოს სკოლებში სპორტის გაკვეთილებზე, როგორც საგნის პოპულარობაზე, ბოლო დროს თუ საუბრობენ მხოლოდ. ჩვენი სკოლების უმრავლესობაში სპორტი, როგორც საგანი, უგულვებელყოფილია და მასწავლებლები ალმაცერად უყურებენ ამ საგანს. მხოლოდ რამდენიმე სკოლის ენთუზიასტი დირექტორი და სპორტის მასწავლებელი თუ ჯახირობს და მცირე მასშტაბის სპორტული ღონისძიებების ჩატარებით შემოიფარგლება.

ადრე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლები თავად ხელმძღვანელობდნენ კლასგარეშე სპორტულ საქმიანობას. ამის საფასურად სახელფასო დანამატსაც იღებდნენ, ახლა კი საპირისპირო განწყობაა – სპორტის გაკვეთილები არ ტარდება და რომელი ჭკუათმყოფელი ჩაატარებს სექციურ მეცადინეობებს. სკოლის დარბაზები გამოკეტილია და სიცოცხლეწართმეულივით გამოიყურება.

რაც შეეხება სპორტის მასწავლებლების კატეგორიას, აქ ისეთ ხალხს შეხვდებით, რომლებსაც სპორტთან ისეთი შეხება აქვს, როგორც თხას კიბერნეტიკასთან. საბედნიეროდ, არიან მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ დიდი მოლოდინი, რომ პროფესიონალიზმი დაფასდება. კარგი იქნება, თუ კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრო გაითვალისწინებს და რესურსცენტრებში სპორტის მენეჯერის საშტატო ერთეულს დაამკვიდრებს, რომელიც კონტროლზე აიყვანს სპორტის მასწავლებლების საქმიანობას, დაგეგმავს სკოლებს შორის სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს, რაც სპორტის მასობრიობის უპირველესი გარანტი იქნება, ხოლო იმ სკოლებში, რომელთა კონტიგენტი 400 მოსწავლეს გადააჭარბებს, პარალელურთა რაოდენობა 2-3 კლასზე მეტი იქნება. აუცილებელია კლასგარეშე საშტატო ერთეულის დამტკიცება, რადგან მხოლოდ გაკვეთილებზე ვერანაირად ვერ დაასაქმებ ყველა ბავშვს და ამით ნურც თავს მოვიტყუებთ და ნურც სხვის მოტყუებას შევეცდებით.

მსოფლიო მწერლობის გამორჩეული კლასიკოსი გაბრიელ გარსია მარკესი ბრძანებდა: „მე ვემსახურები ჩემ ხალხს და არა ჩემი ხალხის მთავრობას"... რა არის იმაზე ბუნებრივი, რომ ადამიანი იყოს პატიოსანი და ემსახუროს საკუთარ ხალხს. ჩვენთან კი პირიქით არის – ხალხის და მთავრობის ინტერესები ისე არის აცილებული ერთმანეთს, რომ მათი კალაპოტში ჩაყენება დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელი გახლავთ. არცაა გასაკვირი, ჩვენთან ხომ მორალი ყირაზეა დაყენებული და ბევრ შემთხვევაში უმრავლესობა საკუთარ კეთილდღეობას არის გამოკიდებული და ბატონს ემსახურება.ამიტომ მიმაჩნია, კადრების შერჩევისას ვიყოთ ძალიან ფრთხილად, ნუ წავართმევთ ახალგაზრდებს ბავშვობის წლებს, ხოლო თანამდებობაზე მყოფ ადამიანს კარგად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული თავისი საქმიანობა, თავმდაბალი და სამართლიანი უნდა იყოს, ურთიერთდაფასება აუცილებელია. დღევანდელ პირობებში ჩვენთან დაწინაურებას უნდა ელოდნენ ისეთი პიროვნებები, ვისთვისაც „ფიქტიურობა" დროებითი ნაბიჯია.

კოლეგებს მოვუწოდებ, მიზეზების მოშველიებას თავი დავანებოთ, ვეძებოთ გამოსავალი, რომ მოზარდი აქტიურად იყოს ჩართული ყოველდღიურ ცხოვრებაში. მჯერა, ქართული სასკოლო სპორტი არ არის მისი დღევანდელი უნიათო მასწავლებლების და ხელმძღვანელების საჯიჯგნი. იგი ყველასია, ვისაც სპორტი და ბავშვები უანგაროდ უყვარს, იგი ქვეყნის საერთო ტკივილია.

ამ წერილისთვის რა მრჯიდა? ის, რაც ყველასთვის ნათელია: დავანებოთ თავი არწყენინების პოლიტიკას და დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონის მე-4 საჯარო სკოლის მასწავლებელი.

ფეხბურთი

დარჩა ოთხი ვაკანსია

ტრადიციისამებრ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში მოვლენები ისე განვითარდა, რომ დასკვნითი ტურის შეხვედრების უმეტესობამ აზრი დაკარგა.

მიზეზი ბანალურია – გრანდები ვადამდე გაუსწორდნენ მეტოქეებს, პლეი-ოფის საგზურები უკვე გაინაღდეს და ნაცვლად იმისა, რომ ბოლო აკორდს მოჭარბებული მოტივაცია ახლდეს თან, პირიქით – ფორმალობად იქცა.

მაშ ასე, გაისად გაზაფხულზე მერვედფინალში ითამაშებენ: „რეალი", „იუვენტუსი", „ბაიერნი", „მანჩესტერი", „რომა", „აიაქსი", „სიტი", „ატლეტიკო", „დორტმუნდი", „პორტუ", „შალკე" და „ბარსელონა", ხოლო დარჩენილი ოთხი ვაკანსია ორ კვირაში შეივსება.

აღსანიშნავია, რომ პირადი სარეკორდო ნიშნული 106 გატანილ ბურთამდე აიყვანა კატალონიელთა არგენტინელმა ლიდერმა ლეო მესიმ, ახლა კი, მოდით, ამ დღეებში გამართული მატჩების შედეგებს გავეცნოთ.

„ა" ჯგუფი. „ატლეტიკო" – „მონაკო" 2:0, „დორტმუნდი" – „ბრიუგე" 0:0.

„ბ" ჯგუფი. „ტოტენჰემი" – „ინტერი" 1:0, „ეინდჰოვენი" – „ბარსელონა" 1:2.

„გ" ჯგუფი. „ნაპოლი" – „ცრვენა ზვეზდა" 3:1, „პარი სენ-ჟერმენი" – „ლივერპული" 2:1.

„დ" ჯგუფი. „პორტუ" – „შალკე" 3:1, „ლოკომოტივი" – „გალათასარაი" 2:0.

„ე" ჯგუფი. აეკ – „აიაქსი" 0:2, „ბაიერნი" – „ბენფიკა" 5:1.

„ვ" ჯგუფი. „ლიონი" – „სიტი" 2:2, „ჰოფენჰაიმი" – „შახტარი" 2:3.

„ზ" ჯგუფი. „რომა" – „რეალი" 0:2, ცსკა – „პლზენი" 1:2.

„თ" ჯგუფი. „იუვენტუსი" – „ვალენსია" 1:0, „მანჩესტერი" – „იანგ ბოიზი" 1:0.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

ოსმალური მშვენიერება

მშვენიერია თურქი მოდელი და მსახიობი სანსუ ტასკინი, რომელიც ოსმალთა ქვეყანაში უკვე აღარ მოღვაწეობს, რადგან ჯერ კიდევ სამი წლის წინათ „ფრთები ლაღად გაშალა", გადაუფრინა ხმელთაშუა ზღვას და თავი იტალიაში ამოყო, სადაც დღეს მისი ძირითადი ნავთსაყუდელია.

თურქეთში ფერადყდიანი ჟურნალი არ გამოდის, სანსუ ტასკინის თვალისმომჭრელი ტან-ფეხი რომ არ სხმარტალებდეს მის გარეკანზე და ტელეარხს ვერ ნახავთ, სადაც ამ გოგონას მიერ შესრულებული როლებით დამშვენებული თურქული სერიალები არ ახარებდეს მავანთა გულს და უწამლავდეს ნერვებს მავანთ.

სანსუ ტასკინის ბედს კარგა ხნის მანძილზე ვეტერან თურქ ფეხბურთელს და ახლა უკვე ბიზნესმენად გარდასახულ ემრე ბელოზოღლუს უკავშირებდნენ, თუმცა, ეს ჭორი თავად ემრემ დაიჭირა შორს და განაცხადა, რომ ტასკინს კი ვიცნობ, მაგრამ ასე ბევრ ლამაზმანს ვიცნობ და ყველას ლოგინში რომ მივათრევდე, ემრე კი არა, სულთანი აჰმედი ვიქნებოდიო...

როსტომ რაჭველიშვილი

უსიტყვო მისტერიის ჯადოქარი...

ამირან შალიკაშვილი

თანამედროვე ქართულმა ხელოვნებამ, ქართულმა მწერლობამ, ქართულმა კულტურამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ქართული თეატრის, დავაზუსტებთ, ქართული პანტომიმის ელვარე, კაშკაშა ვარსკვლავი, თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ამირან ვალერიანის ძე შალიკაშვილი**.

ქართულ ხელოვნებასა და მწერლობას გამოაკლდა მსოფლიო რანგის შემოქმედი, ჩარლი ჩაპლინის, ჟან ლუი ბაროსა და მარსელ მარსოს ბადალი მიმი, რომელმაც მსოფლიო გაოცა, როგორც ქართული გენის, ქართული ნიჭიერების კიდევ ერთმა განუმეორებელმა გამოვლინებამ. მისი მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედება აუცილებლად გამონახავს საკუთარ ნიშას მრავალსაუკუნოვანი დიდი ქართული ხელოვნების საგანძურში.

ამირან ვალერიანის ძე შალიკაშვილი დაიბადა 1939 წლის 22 მარტს უზბეკეთის ქალაქ კოკანდში. 1947 წელს იგი შევიდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის საშუალო სკოლაში. 1953 წელს საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მუშად. თბილისშივე დაამთავრა მე-19 საღამოს საშუალო სკოლა და 1965 წელს სწავლა განაგრძო თბილისის კულტსაგანმანათლებლო თეატრალურ სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1960 წელს. შემდეგ სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში დრამის განყოფილებაზე. ინსტიტუტი ამირან შალიკაშვილმა 1964 წელს დაამთავრა. მას შემდეგ იგი მუშაობდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობად, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობად და არაერთი დასამახსოვრებელი როლი შექმნა ამ თეატრების სცენაზე.



თუმცა მისი არტისტული ბუნების სრული რეალიზება 1961 წლიდან დაიწყო, როდესაც პანტომიმის ჯგუფი შექმნა, შემდგომ ეს ჯგუფი სტუდიად გარდაიქმნა, ხოლო 1970 წლიდან ეს დიდებული შემოქმედი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ პანტომიმის თეატრს — მისი ცხოვრების მთავარ მიზანს, მისი არსებობის მთავარ გამართლებას. 1979 წლიდან ეს თეატრი სახელმწიფო თეატრად გადაკეთდა, რომლის ერთადერთი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავად ამირან შალიკაშვილი იყო. ამავე დროს, 1969 წლიდან ბატონი ამირანი თეატრალურ ინსტიტუტში პანტომიმის საგანს ასწავლიდა. 1978 წელს მისი წინადადებით ამავე ინსტიტუტში გაიხსნა პანტომიმის ფაკულტეტი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა.

დიახ, ჩვენმა დიდმა მაესტრომ არამარტო სრულყოფილად შეიწოვა, გაითავისა მსოფლიო პანტომიმის საუკეთესო მიღწევები, არამედ ეს ყოველივე ქართული სულიერების ქურაში საკუთარი გულის სისხლით გამოაწრთო და საოცარი ქართული ჟღერადობა მიანიჭა. მის პიროვნებაში ბრწყინვალედ შეერწყა ერთმანეთს დიდი ადამიანური, ყველაფრის შთანმთქმელი ვნებები, ემოციურობა, პოეტურობა, ბობოქარი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ და შედეგიც სასწაულებრივად გამაოგნებელი მივიღეთ — ამირან შალიკაშვილის სახით გვყავდა მასშტაბურად მოაზროვნე ხელოვანი, რომლის პლასტიკაში ჩამოქნილი ქართული სულის ყივილი თითქოს ვერ ეტეოდა ჩვენს ბებერ, ცოდვითდაცემულ დედამიწაზე და გალაქტიკისაკენ ისევე მიისწრაფოდა, როგორც „ჩაკრულო“ — ქართველთა სავიზიტო ბარათი.

ამირან შალიკაშვილი არ ლაპარაკობდა, არ საუბრობდა, მაგრამ ლაპარაკობდა მისი სხეული, მისი ხელები, რომლებიც ტიროდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ და ჩვენც გვაიძულებდნენ თანამონაწილენი გავმხდარიყავით ისეთი მისტერიისა, რომელიც გვანცვიფრებდა აზროვნების სიდიადითა და სიღრმით.

ქართველ მწერლებს განსაკუთრებით გვახარებდა ის გარემოება, რომ მაესტროს სწორუპოვარი სპექტაკლების წარმატებაში ქართულ მწერლობასაც ედო წვლილი. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე“, გურამ დოჩანაშვილის „ფიროსმანი — მეფე“, ვახტანგ გოგოლაშვილის „მუშკეტერის სიკვდილი“, რევაზ მიშველაძის „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“ — ამ ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები პანტომიმის თეატრის ოქროს ფონდის კუთვნილებად იქცა.

ამირან შალიკაშვილის ხელოვნება პლასტიკად ჩამოღვენთილი პოეზიაა და რა გასაკვირია, თუ დიდმა მაესტრომ პოეზიაშიც სცადა ბედი. „ხილვები ფიროსმანზე“, ლექსები, „გულმა არ მოისვენა“, „ვარდის ცრემლით მიტირია, „დუმილის შემდეგ“ — ამ პოეტურმა კრებულებმა სრულად დაიტია ამირან შალიკაშვილის ბობოქარი სულის ღაღადისი და კიდევ იმაზე მიგვანიშნა, რომ მათი ავტორი, ერთი შეხედვით, ხმაურიანი და ბოჰემური პიროვნება სინამდვილეში სააღდგომო ბატკანს წააგავდა, ზვარაკად შესაწირ ბატკანს, რომელიც თავის ხილვებსა და ზმანებებში სიყვარულით და სიყვარულისთვის ცოცხლობდა...

ძალზე საინტერესოდ გვესახება ამირან შალიკაშვილის მოგონებების ოთხტომიანი წიგნი „ცრემლიანი შემოდგომა“, აგრეთვე პანტომიმა — დუმილის პოეზია“ და სულ ახლახან გამოცემული „პანტომიმა“...

ამირან შალიკაშვილი არჩეული იყო საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის, ევროპის პლასტიკის თეატრის გაერთიანების, საერთაშორისო მიმების ორგანიზაციის წევრად.

საქართველოს სახალხო არტისტს, კულტურის რაინდს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მინიჭებული ჰქონდა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის, აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

დიახ, ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფეერიული შესაძლებლობების მქონე დიდი შემოქმედი, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ან არ ამჩნევდა არცერთი ხელისუფალი.

ქართველი მწერლების მახსოვრობაში სამუდამოდ დარჩება ქართული პანტომიმის მშვენების, მშვენიერი პოეტისა და ერისკაცის სახე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის მოადგილის მანანა ანუას მეუღლის

მამუკა ჭილაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანა ჩიქავა, შვილები ლონდა, კახა სულაქველიძეები, შვილიშვილები თათია, სოსო კარტოზიები, დისშვილები ლია, გელა ქურდაძეები, ძმისშვილი მანანა სულაქველიძე ოჯახებით, სიძე ალექსანდრე გაბუნია, ცოლისდები ლია, ხათუნა ჩიქავები, რძალი ლალი ბერაძე, ქვისლი პალიკო ქარდავა და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბონდო სულაქველიძე

პანაშვიდი: 30 XI, 16 სთ, გამოსვენება 1.XII, 14 სთ.

მისამართი: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის ქ. №13, III სადარბაზო, მე-8 სართული; დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის მოადგილე

მედიკო ვლადიმერის (ლოლო) ასული კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მედიკო კვარაცხელია 1952 წლის 19 აპრილს გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებაში დაიბადა. განახლების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1974 წელს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს მშობლიური რაიონის ბაღმარანის საშუალო სკოლაში. 1981 წლიდან მუშაობას აგრძელებს სოხუმის №13 საშუალო სკოლაში გეოგრაფიის პედაგოგად. 1991 წლიდან არის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 1992-93 წლებში იყო სოხუმის №16 საშუალო სკოლის დირექტორი.

1993 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში წამყვან თანამდებობაზე. მედიკო კვარაცხელია გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით. მრავალი თაობის აღმზრდელმა ქალბატონმა თანამშრომლებსა და მეგობრებს დიდი გულისტკივილი დაუტოვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული და დაუმკვიდროს სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

◎ იცოცხლე, კოლეგა!

ძველ მდივან-მწიგნობართა ჩამომავალი

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ აქტიურ ავტორს, მეგობარსა და გულშემატკივარს თენგიზ მდივანს გულითადად ვულოცავთ მეოთხმოცე წლისთავს

დაიბადა 1938 წლის 25 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს სასახლისუბანში და რადგან ზოგჯერ მართლაც უცილობელია, „დედა ვნახოთ, მამა ვნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ“, საგანგებოდ ვიტყვი, რომ დედამისი – მარიამ ავალიშვილი იმერეთის მეფის ბეჭდის მცველის შვილთაშვილი გახლდათ, მამა – ლუარსაბ იაგორის ძე მდივანი კი – იმერეთის მეფის მესტუმრეთუხუცესის შვილთაშვილი. დამთავრებული აქვს ორი უმაღლესი სასწავლებელი – შოთა რუსთველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. იყო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი და ამჟამად არის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. მკითხველებისა და კოლეგების ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1963 წელს, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ გამომცემლობა „ლიტერატურისა და ხელოვნების“ დირექტორთან, პოეტ რევაზ მარგიანთან. მას შემდეგ სტატიებს სისტემატურად ბეჭდავდა „სოფლის ცხოვრებაში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „კომუნისტში“, „თბილისში“, „ქუთაისში“ და ჟურნალ „ნიანგში“. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“. არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. არჩეულია იუმორის ეროვნული აკადემიის წევრად.

დიდხანს იღვაწა თენგიზ მდივანმა ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის (შემდეგ ინსტიტუტის) დირექტორის პოსტზე და ჩინებული ხელმძღვანელისა და მასწავლებლის სახელი დაიმკვიდრა.

თენგიზ მდივანი არის სიკეთით, სიყვარულით, ღიმილით სავსე კოლორიტული პიროვნება, ცნობილ 60-იანელთა თაობის სახელოვანი სამეგობროს ღირსეული წევრი, ჭეშმარიტი პატრიოტი, უბრალოებით და თანადგომის ნიჭით გამორჩეული მამულიშვილი...

იცოცხლე დიდხანს, ოჯახისთვის, სამეგობროსთვის და თბილისისთვის საჭირო თენგიზ მდივანო, ძველ მდივან-მწიგნობართა დიდებულო ჩამომავალო!!

მეგობართა სახელით
ალექსანდრე შენგელია

საოჯახო... ვაშლის ხე

250 ჯიშის ვაშლის ნაყოფს კრეფს ინგლისელი მებაღე პოლ ბარნეტი... ერთი ძირიდან!

– საკუთარი ბაღის გაზრდა მინდოდა, მაგრამ საკმარისი ადგილი არ მქონდა, ამიტომ იძულებული გავხდი „საოჯახო ხე“ შემექმნა. აღსანიშნავია, რომ დამყნობის ექსპერიმენტის დასრულებას 25 წელი დასჭირდა.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

წარწერა შვეგულეგის გრაფიკზე: „მოთმინება იქონიე, შენც დაისვენებ“.

* * *

სახელმწიფო მე ვარ!

* * *

„ევრიპა! – შეჰყვირა არქიმედემ. – მივხვდი, რატომაც არ მოდის ონკანში წყალი!“

* * *

მოვიდა, ნახა, იყიდა, გადაყიდა.

* * *

ვინც თქვენთან მახვილით მოვა, მახვილის გაჟუ გადაიხდის.

* * *

მხვრინავი კოსმონავტები კოლეგებს ღია კოსმოსში გაჰყავთ ძილის განსაგრძობად.

* * *

ჩვენს შეფს ჩვენი ქება არ უყვარს, ძუნწია ამ მხრივ. ჩვენი მოვალეობაა, სამუშაოს დროის ხარჯზე სულმოუთქმელად ვაქოთ.

* * *

რატომ ვარ ათეისტი, ერთმა მარტო ღმერთმა უწყის.

* * *

მოსახლეობის ფინანსური წიგნიერება იმდენად ამაღლდა, ამჯერად სუყველამ მტკიცედ იცის, რომ ბიტკოინი ფუფუნება არ არის, მაგრამ, ეშმაკმა უწყის, რა არის.

* * *

იმ ლამაზანს ისეთი ფორმები ჰქონდა, რომ კაცებს ეგრევე უდგებოდათ თვალი, რადგან იმ ფორმათა ზომების გარკვევაში იმნეოდნენ.

* * *

სერპენტარიუმი – გველთწარმოების საწარმო.

* * *

თეთრი გავარვარება შავ შურსაც ძალუძს.

* * *

ერთნაირსძესიან ქორწინებაში ვინც მართალია, ქალი ის არის.

* * *

თუ ორი ბოროტებიდან ნაკლებ ბოროტებას ავირჩევთ, დიდი ბოროტება შეიძლება რომ განაწყენდეს და შური იძიოს.

* * *

გამოვიდა კამასუტრას ახალი გამოცემა ივრითზე. ყოველ სურათზე დედა ჩანს, რომელც ქალიშვილებს არიგებს, როგორ უნდა მოიქცნენ.

* * *

ვისაც „მსოფლიოს საიდუმლო მთავრობის“ არსებობა სჯერა, აშკარაა, რომ იმას ხუთკაციანი კოლექტივისთვისაც არ უხელმძღვანელია თავის დღეში.

* * *

არც მიწისქვეშ არის ახალი რამე.

* * *

„ოცნება“ მარგებელი რამ არის – წარმოსახვას ავითარებს.

* * *

მოხელეთა ცოლების ქურქები შეკერილია „მადლობისგან“.

* * *

მჭედელს დანა იმიტომ არა აქვს, რომ მუქთად არ მუშაობს, ხოლო თავის თავს რომ ფული გამოართვას, ერცხვინება.

* * *

მიტევებული ცოდვები მიფრინავენ ახალ მსხვერპლთა საძებნელად.

* * *

ქალებს პატარა საჩუქრებიც უყვართ, მაგალითად, ბრილიანტები.

* * *

იოგლიანი ჭაობშიც ნახავს ხელმოსაჭიდს.

* * *

„თქვენი მადლიერი ვიქნები მარად“ – გადაკრული სიტყვა იმის თაობაზე, რომ ვალს აღარ დაამრუნებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6611; ევრო - 3.0102;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3937
100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.5073;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5700;
1000 სომხური დრამი - 5.4868.

ამინდი 30 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -1, დღე +11
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +19
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +15
თბილისი: ღამე +7, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge